საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

2024 წელი

წინასიტყვაობა

2024 წელი გამოირჩეოდა განსაკუთრებული გეოპოლიტიკური ტურბულენტობით და ეკონომიკური გამოწვევებით, რაც უკავშირდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებს. უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ფონზე ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა გაზარდა დაპირისპირების გლობალურ მასშტაბში გადაზრდის რისკი, გამოიწვია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რყევები და შეაფერხა ტრადიციული სავაჭრო მარშრუტების ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანაში ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელთა შედეგებმა საფუძველი დაუდო გლობალური გეოპოლიტიკური დღის წესრიგის ცვლილებას, საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში გააჩინა ახალი მიდგომები და ტენდენციები, იმ ქვეყნებს, რომლებიც მოწოდებული არიან ტრადიციული ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვისკენ, მნიშვნელოვნად გაუადვილა ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობები.

2024 წელს სხვადასხვა ქვეყნის მიერ ხელოვნური ინტელექტის განვითარების მიმართულებით დაფიქსირებულმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ წარმოაჩინა, რომ „რბოლა ხელოვნური ინტელექტისთვის“ გადაიქცა სახელმწიფოებს შორის კონკურენციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად და მასში უპირატესობის მოპოვება, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად გაზრდის ამ ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო გავლენებს. ასევე, მათ ხელში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გლობალური თუ რეგიონული დომინირებისთვის.

საანგარიშო პერიოდში, არაპროგნოზირებადი გლობალური გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე, საქართველოს მიმართ შენარჩუნებული, ხოლო რიგ შემთხვევაში გაზრდილი იყო საფრთხეების დონე. ასევე, გამოიკვეთა უცხოური ძალების მიერ ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული დესტრუქციული საქმიანობის ახალი მიმართულებები და ტენდენციები, რის წინააღმდეგაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს კომპლექსური ღონისძიებების გატარება უწევდა.

წარმოდგენილ ანგარიშში მიმოხილულია 2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოვლენილი საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახელმწიფოსთვის ეროვნული უსაფრთხოების კუთხით, ყველაზე დიდ საფრთხეს კვლავ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და მისი თანამდევი პროცესები წარმოადგენდა. რუსეთ-უკრაინის ომის მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა უკანონო სამხედრო აქტივობები, საოკუპაციო ძალის მიერ წარმოებდა

ანექსიისკენ მიმართული ღონისძიებები, გრძელდებოდა უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი. ამასთან, რუსეთის მიერ ოკუპაცია აქტიურად გამოიყენებოდა, როგორც ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტი საქართველოს წინააღმდეგ დესტრუქციული პოლიტიკის გასატარებლად.

უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები, ასევე, ცალკეული შიდა და გარე აქტორები ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობდნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას, იყო ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობები. მათ მიერ აქტიურად გამოიყენებოდა დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული საინფორმაციო კამპანიები, რომელშიც, მათ შორის, ჩართულნი იყვნენ დასავლური ქვეყნებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლები, რამაც ცალკეული ქვეყნის სპეციალურ სამსახურებს გაუადვილა საქართველოში ანტიდასავლური კამპანიის წარმოების შესაძლებლობები.

ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოზიციების გასამყარებლად და ქვეყანაზე ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა, რომ უცხო ძალების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოს ახალგაზრდულ სეგმენტზე მუშაობის გააქტიურება იყო, რომლის მიზანს უცხო ქვეყნებისადმი ლოიალურად განწყობილი და მათ ეროვნულ/საზოგადოებრივ ღირებულებებთან ახლოს მდგომი ახალი თაობის ფორმირების მცდელობა წარმოადგენდა.

კვლავ აქტუალური იყო საერთაშორისო ტერორიზმისგან და ძალადობრივი ექსტრემიზმისგან მომდინარე საფრთხეები. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად ქვეყანაში ტერორისტული აქტივობები არ განხორციელებულა და საქართველო კვლავ წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საერთაშორისო რეიტინგებში.

საქართველოს წინაშე მზარდი საფრთხეებისა და გამოწვევების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უზრუნველყო შიდა და გარე ძალებისგან მომდინარე საფრთხეების პრევენცია და აღკვეთა, სახელმწიფო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირება და უსაფრთხო განვითარება.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კონკრეტულ მიმართულებებზე, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებსა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას სამსახური მკაცრად იცავდა კანონით განსაზღვრულ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, თანაზომიერებას, დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და პოლიტიკურ ნეიტრალობას.

2024 წელს სამსახურის დანაყოფების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უზრუნველყოფილი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა და გატარდა ეფექტიანი საკადრო პოლიტიკა.

მსურს, მადლობა გადავუხადო უწყების თითოეულ თანამშრომელს საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში შეტანილი ყოველდღიური წვლილისა და გაწეული სამუშაოსთვის.

ანრი ოხანაშვილი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი

სარჩევი

ოკუპირებული ტერიტორიები 7

ანექსიისკენ მიმართული პროცესები 8
ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები 14
საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები 15
საერთაშორისო მექანიზმები 19
საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 20

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა 21

დეზინფორმაცია და ჰიბრიდული ომის სხვა საფრთხეები 29
დეზინფორმაცია და პროპაგანდა 30
ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები 31
კიბერუსაფრთხოება 32
ხელოვნური ინტელექტი 34

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 36

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება 36
საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა 39
საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები 40
საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება 41
სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა 42
ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება 42
საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა 43
ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება 44
სისხლის სამართლის საქმეები 44
საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია 44
სპეციალური ოპერაციების ძალები 45

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 46

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა .. 49

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 51

ანგარიშვალდებულება 51
პერსონალურ მონაცემთა დაცვა 53
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 54
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია 54
საერთაშორისო თანამშრომლობა 54
უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია 60
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება 62
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 63
სასწავლო ცენტრი 64
მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები 65

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევას კვლავ საქართველოს რეგიონების ოკუპაცია და ანექსიისკენ მიმართული პროცესი წარმოადგენდა.

გასული წლების მსგავსად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსეთის საოკუპაციო ძალა, სხვა დესტრუქციულ აქტივობებთან ერთად, განაგრძობდა სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის სამხედრო წვრთნას, მათ შორის, გახშირებული იყო სამხედრო წვრთნები უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით.

2024 წელს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ კვლავ გამოიყენებოდა ე.წ. ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის უკანონო დაკავებებისა და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის სახით, რომელიც განსაკუთრებით აზიანებდა ადგილზე არსებულ ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების გარემოს.

რუსეთის ფედერაციის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების რუსიფიკაციისა და შემდგომი ანექსიისკენ მიმართული პროცესები. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო რუსეთის მიერ დამატებითი სამხედრო, ფინანსური თუ დემოგრაფიული ბერკეტების მოპოვების მცდელობა, რამაც ოკუპირებულ რეგიონებში კრიზისული ვითარება შექმნა.

საანგარიშო პერიოდში ათეულობით სხვადასხვა მასშტაბის სწავლება ჩაუტარდათ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებულ რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების პირად შემადგენლობას და უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებს.

ოკუპირებულ რეგიონებზე ეფექტური კონტროლის განხორციელებისთვის, რუსეთი განაგრძობდა დამატებითი ბერკეტების მოპოვების მცდელობას. აღნიშნულმა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ანტირუსული განწყობების გამოვლინებასაც კი შეუწყო ხელი.

2024 წელს უმნიშვნელოვანესი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“ (ე.წ. განგრძობადი ოკუპაციის საქმე), რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თანამდევი უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევებს ეხებოდა და პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაციას აკისრებდა.

საყურადღებოა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „ტაგანოვა და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“, რომლის მიხედვით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებზე

სრული პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრა, როგორც ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ სუბიექტს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ეფექტური კონტროლის განხორციელების შეუძლებლობის მიუხედავად, ოფიციალურმა თბილისმა ოკუპირებულ რეგიონში პირთა საკუთრების უფლების დასაცავად ყველა შესაძლებელი და გონივრული ღონისძიება გაატარა.

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „ო.ჯ. და ჯ.ო. საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ". აღნიშნულით სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა გონივრულ და შესაძლებელ ღონისძიებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანის უფლებების დასაცავად, ამასთანავე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანის უფლებების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საქმეში დაზარალებული პირები უკანონო პატიმრობიდან სწორედ საქართველოს ხელისუფლების დაუღალავი შრომის შედეგად გათავისუფლდნენ.

ანექსიისკენ მიმართული პროცესები

2024 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალა აქტიურად ახორციელებდა ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ მიმართულ პოლიტიკას.

წლის დასაწყისში ოკუპირებული ბიჭვინთის ე.წ. სახელმწიფო აგარაკის რუსეთისთვის გადაცემამ ოკუპირებულ აფხაზეთში საყურადღებო პროცესები გამოიწვია. მოსახლეობის პროტესტის შედეგად, ე.წ. კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები ე.წ. ობიექტის მესამე პირისთვის გადაცემის აკრძალვის მიზნით, რამაც რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვია.

ბიჭვინთის ე.წ. სახელმწიფო აგარაკთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნა პრეცედენტი, როდესაც ე.წ. ოპოზიციურად განწყობილმა პირებმა რუსეთის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების გამო მკვეთრად ნეგატიური პოზიცია დააფიქსირეს, თუმცა, თავდაპირველად ცალსახად ანტირუსულ ნარატივს ვერ/არ აჟღერებდნენ.

რუსეთს ოკუპირებული რეგიონების ანექსიისთვის საფუძვლის მოსამზადებლად კვლავ სურდა ადგილზე უძრავი ქონების ყიდვის უფლების მოპოვება, რაც ადგილობრივი ე.წ. კანონით იზღუდებოდა. ამ მიზნით, რუსეთის საოკუპაციო ძალა, გასული წლის მსგავსად, ცდილობდა „აპარტ-ოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების შესახებ" ე.წ. კანონპროექტის დამტკიცებას.

თავდაპირველ ვერსიაზე საზოგადოების მზარდი უკმაყოფილების გამო, საანგარიშო პერიოდში, საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. კანონპროექტი სახეცვლილი ვარიანტითა და სახელწოდებით წარადგინა. ახალი ვერსიით, მრავალფუნქციური კომპლექსი (დაახლოებით 10 000 აპარტამენტი) მთელი რეგიონის ნაცვლად, მხოლოდ ოკუპირებული ოჩამჩირის, ტყვარჩელისა და გალის რაიონებში განთავსდებოდა. თუმცა, საზოგადოების მკვეთრმა ნეგატიურმა გამოხმაურებამ საოკუპაციო რეჟიმს მისი უკან გაწვევა აიძულა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ე.წ. კანონპროექტის მხარდაჭერის სანაცვლოდ, რუსეთმა აფხაზ ე.წ. მაღალჩინოსნებს რამდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაუმტკიცა, რათა აპარტამენტების მშენებლობა მათთვის პირადი დაინტერესების საგანი გამხდარიყო.

ე.წ. კანონპროექტი ანექსიური პოლიტიკის ჭრილშია განსახილველი, რადგან იგი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს ოკუპირებულ რეგიონში უძრავი ქონების შეძენის შესაძლებლობას მისცემდა. რუსეთის მოქალაქეების რაოდენობის გაზრდა მათი „უფლებების" გაფართოების მოთხოვნის საფუძველს გააჩენდა და ოკუპირებული რეგიონის რუსიფიკაციისა და ანექსიისთვის კარგ პლაცდარმს შექმნიდა.

საანგარიშო პერიოდში დღის წესრიგში იდგა რუსეთის ფედერაციის ეროვნულ გვარდიასა („როსგვარდია") და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შსს-ს შორის „თანამშრომლობის შესახებ" ე.წ. შეთანხმების გაფორმების საკითხი („შეთანხმების პროექტი" სოციალურ ქსელშიც გავრცელდა). „შეთანხმების" შესაბამისად, იგეგმებოდა „როსგვარდიისა" და ე.წ. შსს-ს თანამშრომლობა, მათ შორის „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის", ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების დაცვის მიმართულებით. ე.წ. შეთანხმებასთან დაკავშირებით ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობისა და ე.წ. ოპოზიციური ძალების მწვავე რეაქციის გათვალისწინებით, საოკუპაციო რეჟიმმა „დოკუმენტის" ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

„შეთანხმების" ამოქმედებით შესაძლებელი გახდებოდა ოკუპირებული რეგიონის ე.წ. შიდაპოლიტიკურ პროცესებში რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების პირდაპირი მონაწილეობა. აღნიშნული რუსეთისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდებოდა ადგილზე სრული კონტროლის დასამყარებლად.

რუსეთის ხელისუფლება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე „რუსული იურიდიული პირების მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესახებ" ე.წ. შეთახმების ამოქმედებას ცდილობდა.

ე.წ. შეთანხმება რუსი „ინვესტორებისთვის" პრივილეგიებს ითვალისწინებდა. ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული მსხვილი ბიზნესის გაძლიერება კი საგრძნობლად შეავიწროებდა ადგილობრივ „მცირე ბიზნესს". ამავდროულად, ის ტურიზმის სფეროში „ინვესტიციებსა" და მრავალფუნქციური კომპლექსების მშენებლობასაც

ითვალისწინებდა, რაც, ფაქტობრივად, „აპარტამენტების“ მშენებლობის პროექტის ტოლფასი იყო.

სხვა ზემოაღნიშნული შემთხვევების მსგავსად, ადგილობრივ მოსახლეობას, მოცემულ ე.წ. შეთანხმებაზეც მკვეთრად ნეგატიური პოზიცია ჰქონდა. საოკუპაციო რეჟიმი აქტიურად ცდილობდა მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ „ინვესტიციების შესახებ“ ე.წ. შეთანხმება რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, ხოლო მასზე უარი - „ანტირუსულ ქმედებად“ იქნებოდა შეფასებული.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად გამოხატავდნენ ე.წ. პრეზიდენტისადმი მხარდაჭერას, ხოლო ე.წ. ოპოზიციონერებს მწვავედ აკრიტიკებდნენ და აცხადებდნენ, რომ ისინი „სამართლებრივ ჩარჩოებს“ გასცდნენ. საოკუპაციო რეჟიმი და რუსული მედიასაშუალებები განვითარებულ მოვლენებს ანტირუსულ პროტესტად წარმოაჩენდნენ. ე.წ. ოპოზიციონერები კი ყოველ გამოსვლაში ხაზს უსვამდნენ, რომ პროტესტი ანტირუსული არ იყო.

რუსი მაღალჩინოსნების მიერ გაკეთებული ნეგატიური გამოხმაურების პარალელურად, ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი პირები, რუსეთის ხელისუფლების ნაცვლად, უკმაყოფილებას „რუსი ოლიგარქების“ მიმართ აფიქსირებდნენ.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ე.წ. ოპოზიციური სპექტრის არსებობისთვის ან/და მათ მიერ ე.წ. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის მთავარ ფაქტორს რუსეთის კეთილგანწყობა წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული განაპირობებდა ე.წ. ოპოზიციის ქმედებებსა და განცხადებებს რუსეთთან მიმართებით.

მოსახლეობაში არსებულ მაღალ საპროტესტო მუხტს და მათ მიერ ე.წ. სამთავრობო შენობების დაკავებას, ე.წ. პრეზიდენტ **ასლან ბჟანიას** „გადადგომა“ და ე.წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოჰყვა. შედეგად, ე.წ. პარლამენტში „ოპოზიციურად“ განწყობილმა პირებმა რუსეთთან ე.წ. შეთანხმების რატიფიცირებას მხარი არ დაუჭირეს.

ე.წ. შეთანხმებებთან დაკავშირებით, ოკუპირებულ რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოებრივი აზრის გარდატეხას შეუწყო ხელი. საქართველოს რეგიონების ოკუპაციის შემდეგ, ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები საზოგადოება რუსეთის ანექსიურ პოლიტიკას ღიად პირველად დაუპირისპირდა. შესაბამისად, ე.წ. ინვესტიციების შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ გამართული მიტინგი შეიძლება „პირველ ანტირუსულ საპროტესტო გამოსვლად“ შეფასდეს.

ე.წ. შეთანხმებების ჩავარდნამ და **ბჟანიას** „გადადგომამ“ რუსეთის იმიჯს რეპუტაციული ზიანი მიაყენა, რის საპასუხოდაც რუსეთის ხელისუფლებამ „სადამსჯელო ზომები“ გაატარა: სრულად შეწყვიტა ე.წ. საბიუჯეტო თანადაფინანსება, შედეგად, ამ სფეროში დასაქმებულებზე ხელფასების გაცემის პროცესი მნიშვნელოვნად გართულდა; ელექტროენერგიის მიწოდებაზე კომერციული ტარიფი დააწესა, რის გამოც მოსახლეობას

ელექტროენერგია მინიმალური რაოდენობით მიეწოდებოდა; რუს ტუროპერატორებს ოკუპირებულ რეგიონში „ტურების“ გაყიდვა აუკრძალა და სხვა.

გატარებული „ღონისძიებების“ შედეგად ოკუპირებულ აფხაზეთში ენერგეტიკული და ფინანსური კრიზისი შეიქმნა, საოკუპაციო რეჟიმს თანხების მობილიზაციის მიზნით მოუწია შეეჩერებინა ე.წ. სამეურნეო ხარჯები, „მიზნობრივი პროგრამები“ და სხვა. ხაზგასასმელია, რომ ზემოაღნიშნული ზომების პარალელურად, რუსეთმა ე.წ. ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელს რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვა.

„სადამსჯელო ზომების“ დემონსტრირებით რუსეთმა წარმოაჩინა, რომ ოკუპირებული რეგიონი სრულად არის დამოკიდებული მასზე და ე.წ. დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება არ შეუძლია.

რუსეთის ხელისუფლებამ, რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევით და „ოპოზიციონერების“ ანტირუსულ განწყობებზე აპელირებით, მისთვის არასასურველი პირების დისკრედიტაცია და პროცესებისგან იზოლირება სცადა.

ამავე კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო რეჟიმმა „ეკონომიკურ საკითხებში სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულებაში მოყვანის შესახებ“ შეთანხმების „რატიფიცირება“ მოახდინა, რომელიც რუსი „ინვესტორების“ ინტერესთა დაცვის მექანიზმად არის განსახილველი.

ანექსიური პოლიტიკის ნაწილია ოკუპირებულ ოჩამჩირის რაიონში დაანონსებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის „მუდმივი ბაზირების პუნქტის“ შექმნის საკითხი. საანგარიშო პერიოდში ადგილზე გარკვეული სამუშაოები დაფიქსირდა. კერძოდ, გაიკაფა ტყის მასივის გარკვეული ზონები და განხორციელდა საზღვაო აკვატორიის გაწმენდითი სამუშაოები.

მაღალი ალბათობით, ოკუპირებული ოჩამჩირის პორტში მიმდინარე სამუშაოები პირდაპირ არ უკავშირდება რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტის მშენებლობას. მიმდინარე პროცესი, სავარაუდოდ, წარმოადგენს ე.წ. საკონტეინერო გადაზიდვის ტერმინალის მშენებლობის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს.

აღსანიშნავია ოკუპირებული ქ. სოხუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია, 2024 წლის ნოემბერში აეროპორტში რუსეთიდან ტექნიკური რეისები შესრულდა.

სოხუმის აეროპორტის აღდგენით რუსეთი ოკუპირებული რეგიონის კონტროლისთვის დამატებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტს მოიპოვებს. თავის მხრივ, ოკუპირებული რეგიონი შეეცდება აეროპორტის ფუნქციონირება რეგიონის განვითარების „ინდიკატორად“ წარმოაჩინოს, ე.წ. დამოუკიდებლობის ილუზია შექმნას და საერთაშორისო ასპარეზზე ე.წ. სტატუსის მოსაპოვებლად გამოიყენოს.

გასული წლების მსგავსად, 2024 წელს საოკუპაციო რეჟიმმა კვლავ გააქტიურა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდ. ფსოუს მონაკვეთზე გადაადგილების გამარტივების ან ე.წ. გამშვები პუნქტის გაუქმების საკითხი.

საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს, მდ. ფსოუზე ე.წ. გამშვები პუნქტის გაუქმების საკითხი მოსახლეობის საუკეთესო ინტერესად წარმოაჩინოს. რეალურად კი აღნიშნული რუსეთის მიზანს ემსახურება, რათა ანექსიისთვის შესაბამისი საფუძველი მოამზადოს. გარკვეული პერიოდულობით, ე.წ. გამშვები პუნქტის გაუქმების საკითხის გაჟღერება, მოცემულ ფაქტთან მოსახლეობის შეგუებას და მიმღებლობის ზრდას ისახავს მიზნად.

ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „რუსიფიკაციის" პოლიტიკას ატარებდა და ამ მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს იყენებდა. განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა ოკუპირებული გალისა და ახალგორის რაიონებში რუსული უნივერსიტეტის მეშვეობით შექმნილი „ღია განათლების" ცენტრები, პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა პედაგოგებისა და სკოლის მოსწავლეების რუსულ ენასა და სხვა საგნებში გადამზადება. აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ქ. გალის სკოლებში „საწყისი სამხედრო მომზადების" საგანი დაამატეს და მოსწავლეები „რესპუბლიკურ სამხედრო-სპორტულ თამაშებში" ჩართეს.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ფიქსირდება ეთნიკურად ქართველებისგან „მტრის ხატის" შექმნა/გაძლიერების მცდელობები. ოკუპირებული გალის რაიონის მოსწავლეებში სამხედრო თემატიკის შემოტანა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არღვევს და მათ ინდოქტრინაციას ემსახურება.

ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის რუსიფიკაციის ფარგლებში ადგილზე „რუსული გეოგრაფიული საზოგადოების" ე.წ. წარმომადგენლობისა და ახალგაზრდული კლუბის გახსნა დაანონსდა. ფუნქციონირებდა „როსსოტრუდნიჩესტვოს რესურს ცენტრი". ასევე, ეწყობოდა „საბავშვო ბანაკები", რომლებიც, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებულ გალის რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს სამომავლო პროფესიის არჩევაში ეხმარებოდა.

რუსეთის საოკუპაციო ძალის მიზანს წარმოადგენს, ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის ქართული სახელმწიფოსგან დისტანცირება. შესაბამისად, რუსეთი ცდილობს ახალგაზრდებმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა არა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, არამედ რუსეთსა და ოკუპირებულ რეგიონში განაგრძონ. აღნიშნული ე.წ. ბანაკების ფუნქციონირებაც სწორედ მოცემული პროცესის ნაწილია.

საყურადღებოა, რომ ოკუპირებულ ქ. ცხინვალში ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, ახმატ ხაჯი კადიროვის ფონდის დაფინანსებით „ა.კადიროვის სახელობის ხელოვნების სკოლის" მშენებლობა დაიწყო. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს

მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში „საერთო საგანმანათლებლო ორგანიზაციების“ შექმნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

მსგავსი „საგანმანათლებლო პროექტების“ მიზანია ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის რუსიფიკაცია, საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის გაუცხოება, მათი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცისგან მოწყვეტა და სრულად რუსულ ორბიტაზე მოქცევა.

ოკუპირებულ აფხაზეთში 2024 წელს საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. მოქალაქეობის მიღების წესი გაამკაცრა. ამ ცვლილებით გახანგრძლივდა ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ე.წ. შიდაპოლიტიკური მოვლენებიდან დისტანცირების პროცესი.

„ბინადრობის ნებართვის“ მქონე პირებს ე.წ. მოქალაქეობის მოთხოვნის საშუალება, ნაცვლად 10-ისა, 25 წლის შემდეგ მიეცემათ.

მნიშვნელოვან საფრთხედ რჩებოდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ანექსიის საკითხი. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით საყურადღებო იყო რუსეთსა და ოკუპირებულ რეგიონს შორის „სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ“ ე.წ. შეთანხმების „ძალაში შესვლა“.

ოკუპირებული აფხაზეთის მსგავსად, ეკონომიკური ექსპანსიის მცდელობები შეინიშნებოდა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშიც. ადგილზე საქმიანობის „ლიცენზია“ მოიპოვა „ალანიის საინვესტიციო ბანკმა“. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ოკუპირებულ სოფელ ღრომში ნავთობის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების დაწყება, რომელშიც რუსული კომპანია „სტროიპროგრესი“ იყო ჩართული. საოკუპაციო რეჟიმმა ანალოგიური სამუშაოების დაწყება სხვა ოკუპირებულ რაიონებშიც დააანონსა.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის როკის მონაკვეთზე არსებული „ნიჟნი ზარამაგის“ ე.წ. გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც გამტარუნარიანობის მნიშვნელოვნად გაზრდას ისახავდა მიზნად. საოკუპაციო რეჟიმი, მათ შორის, გამოთქვამდა არა მხოლოდ გამტარუნარიანობის გაზრდის, არამედ ე.წ. პუნქტის სრულად გაუქმების სურვილსაც.

რუსეთსა და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს შორის „საბაჟო ორგანოების ინტეგრაციის“ გეგმის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება იყო ოკუპირებული რეგიონის „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის“ საბაჟო ტარიფებსა და რუსეთში მოქმედ საბაჟო მოსაკრებლებზე გადასვლა.

საყურადღებოა, რომ რუსეთმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სამ ე.წ. ოპოზიციონერ დეპუტატს, დისკრედიტაციისა და ზეწოლის განხორციელების მიზნით, რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვა. აღნიშნული ნაბიჯი უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენდა, ვინაიდან მსგავსი ფაქტი გასულ წლებში არ დაფიქსირებულა.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ე.წ. ოპოზიციონერი პირებისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ რუსეთის იდენტური გადაწყვეტილებები, ისევე, როგორც ე.წ. გამშვები პუნქტების გაუქმებაზე საოკუპაციო რეჟიმების მსგავსი განცხადებები, ოკუპაციის სისტემურ ხასიათსა და რუსეთის ხელისუფლების ერთიან მიდგომას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ასევე, ანექსიის ჭრილშია განსახილველი ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე. გავრცელებული მონაცემებით, 2024 წელს რუსეთთან „ტვირთბრუნვამ" 406,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ანექსიის კუთხით კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ოკუპირებული რეგიონების ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე. 2024 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ბიუჯეტი დაახლოებით 87,8 მილიონი აშშ დოლარი იყო, რომლის დაახლოებით 79,5% (დაახლოებით 69,8 მილიონი აშშ დოლარი) რუსულ ტრანშს წარმოადგენდა. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტი 155,4 მილიონი აშშ დოლარით იყო განსაზღვრული, რომლის დაახლოებით 23,5% (დაახ. 36,6 მილიონი აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციის ფინანსურ დახმარებას წარმოადგენდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები

ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე ე.წ. შიდაპოლიტიკური პროცესები, უმრავლეს შემთხვევაში, ანექსიისკენ მიმართულ რუსეთის პოლიტიკას უკავშირდებოდა. საპროტესტო აქციებით, ე.წ. მთავრობის გადადგომითა და რუსეთის მიერ დაწესებული შეზღუდვებით ოკუპირებულ რეგიონში, საანგარიშო პერიოდში, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იყო შექმნილი.

არსებული ვითარება, გარკვეულწილად, ე.წ. პარლამენტში მომხდარი ინციდენტის მიზეზიც გახდა. ე.წ. დეპუტატებს შორის კრიპტოვალუტის „მაინინგის შეზღუდვის" საკითხის განხილვას შელაპარაკება, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა და ერთ-ერთი ე.წ. დეპუტატის გარდაცვალება მოჰყვა.

2024 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში აქტიურად გაგრძელდა საერთაშორისო ორგანიზაციების დისკრედიტაციის პროცესი და მათი მუშაობის მნიშვნელოვნად შეზღუდვა.

ზეწოლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მაშინდელი თანათავმჯდომარისათვის ოკუპირებულ აფხაზეთში შესვლაზე უარის თქმა. საოკუპაციო რეჟიმმა თანათავმჯდომარის განცხადებები ოფიციალური თბილისის მხარდაჭერად მიიჩნია.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში 9 ივნისს ე.წ. საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. ოპოზიციურად განწყობილ 5 ე.წ. პარტიას და

„დეპუტატობის“ 96 კანდიდატს ე.წ. არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მისცა. მთავარმა ე.წ. ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანმა ოსეთმა“ „არჩევნების“ შედეგები გააპროტესტა, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია, რომ ე.წ. პარტია 4 თვის განმავლობაში „ბოიკოტის“ რეჟიმში იმყოფებოდა.

ე.წ. არჩევნები რუსეთის ხელისუფლებამ პოზიტიურად შეაფასა, რადგან მის ინტერესს არ წარმოადგენდა ოკუპირებულ რეგიონში არეულობა. ამგვარად, „ერთიანი ოსეთის“ ე.წ. ბოიკოტმა შედეგი ვერ გამოიღო.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კვლავ მძიმე იყო. კერძოდ, რუსეთიდან შემცირებული ე.წ. დაფინანსების გამო და ადგილზე არსებული კორუფციის, კვაზისისტემურობის შედეგად „ხელფასები“, „პენსიები“ და ე.წ. სოციალური დახმარებები თვეობით არ გაიცემოდა. საოკუპაციო რეჟიმმა ადგილობრივი ე.წ. გადასახადები („კომუნალური“, „საბაჟო“ და სხვ.) გაზარდა, რამაც მოსახლეობის მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა.

ოკუპირებულ რეგიონში დანაშაულისა და ადამიანის უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. მათ შორის, აღსანიშნავი იყო ეთნიკურად ქართველი პირების წინააღმდეგ მიზანმიმართული დისკრიმინაციის პოლიტიკა.

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ რუსეთის ფედერაციის ანექსიური პოლიტიკიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დაცვის თუ უსაფრთხოების გარემოს მონიტორინგის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლასა და/ან სრულფასოვან ფუნქციონირებას ვერ ახერხებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი, სადაც წარმოდგენილია ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), რომელიც მხოლოდ ჰუმანიტარული მიმართულებით ოპერირებს.

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები, მათ შორის უკანონო დაკავებები და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. აგრეთვე, ვრცელდებოდა დეზინფორმაციული ნარატივები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების აგრესორად წარმოჩენისა და მისგან მომდინარე ჰიპოთეზურ „საფრთხეებთან“ დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით იდენტიფიცირდა უკანონოდ დაკავების 37, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 36 შემთხვევა. ორივე მიმართულებით ფიქსირდებოდა ე.წ. ბრალის ხელოვნურად დამძიმების პრაქტიკა, სხვადასხვა გამოგონილი ბრალდებით, მათ შორის ოფიციალური თბილისის სასარგებლოდ ჯაშუშობის, ე.წ. კონტრაბანდის, ნარკოტიკული ნივთიერების ფლობისა და

სხვა. აღნიშნულზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა, მანდატის ფარგლებში, ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს სხვადასხვა ოფიციალურ ფორმატში.

2024 წლის დასასრულს უკანონო პატიმრობაში, საერთო ჯამში, საქართველოს 11 მოქალაქე იმყოფებოდა. უკანონო პატიმრობაში რჩებოდნენ საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებსაც თავისუფლება უკანონოდ რამდენიმე წლით აღუკვეთეს, მათ შორის, **ირაკლი ბებუა**, **ქრისტინე თაკალანძე** და **კახა მურადოვი**. საოკუპაციო ძალა ხანგრძლივი უკანონო დაკავებებით ხელოვნურად ქმნიდა ჰუმანიტარულ კრიზისს და ცდილობდა, ამ ინსტრუმენტით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლა მოეხდინა.

აღნიშნული მოცემულობა უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. მიუხედავად გამოწვევებისა, საანგარიშო პერიოდში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების გასათავისუფლებლად, ყველა შესაძლო მექანიზმის გამოყენებით.

2024 წლის განმავლობაში, ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, ხანგრძლივი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდნენ **ასმათ თავაძე, გიორგი რომელაშვილი, ვლადიმერ ცაბაძე** და **რამაზ ბეღელური,** ასევე **ხაჯარატ ახვლედიანი.**

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდებოდა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების არასათანადო გამოძიების პრაქტიკა. რუსეთის დესტრუქციული პოზიციის გამო, სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფლება მოკლებული იყო შესაძლებლობას, რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ 2023 წლის ნოემბერში მოკლული **თამაზ გინტურის** საქმის ობიექტური გამოძიება და დამნაშავის/ეების დასჯა განეხორციელებინა.

რუსეთის საოკუპაციო ძალამ, ასევე, არ უზრუნველყო, ოკუპირებული გალის „დროებითი მოთავსების იზოლატორში" მიღებული ფიზიკური დაზიანებების გამო, ოკუპირებული ქ. სოხუმის საავადმყოფოში გარდაცვლილი **ვიტალი (თემურ) კარბაიას** საქმის ობიექტური გამოძიება და საქმის ფიგურანტი პირების მიმართ სათანადო სასჯელის განსაზღვრა.

საოკუპაციო რეჟიმების უკანონო პატიმრობაში დაღუპული **ირაკლი კვარაცხელიასა** და **დავით ბაშარულის,** ასევე, საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული **არჩილ ტატუნაშვილისა** და **გიგა ოთხოზორიას** საქმეებთან მიმართებით ადგილზე სამართლის აღსრულება კვლავ შეუძლებელი იყო.

ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების უგულებელყოფა ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს ახალისებს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატის ფარგლებში განაგრძობდა დამნაშავეთა მიმართ სამართლის აღსრულების მოთხოვნას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა **თამაზ გინტურის** მკვლელობის საკითხზე დეტალური მოხსენება გააზიარეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით.

2024 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური იყო უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის საკითხი, რომელიც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის პირდაპირ შედეგს და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თანმდევ, უმძიმეს პროცესს წარმოადგენს. იგი ხელოვნური ბარიერების, ღობეების, მავთულხლართების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაციასა და მიწათხრილების, ტრანშეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების მოწყობას გულისხმობს. გასული წლის მსგავსად, დაფიქსირდა საოკუპაციო ხაზზე სათვალთვალო კამერებისა და გადაადგილების დეტექტორების დაყენების ფაქტებიც. რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლები უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ სხვადასხვა ლოკაციაზე ახორციელებდნენ.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის 1 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 45.

საყურადღებოა, რომ კვლავ იზღუდებოდა გადაადგილების თავისუფლება. გარკვეული პერიოდულობით საოკუპაციო ძალა ე.წ. გადასასვლელ პუნქტებს კეტავდა და ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდა.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ძალის მხრიდან საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებაზე გრძელვადიანი შეზღუდვები არ დაწესებულა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გაგრძელდა ე.წ. გამშვები პუნქტების სელექციური ფუნქციონირების პრაქტიკა. გადაადგილება შესაძლებელი იყო თვეში მხოლოდ 10 დღის განმავლობაში. ე.წ. პუნქტზე მოძრაობის შესაძლებლობა ეძლეოდა არა ოკუპირებული რეგიონის ყველა მცხოვრებს, არამედ მხოლოდ ე.წ. ნებართვის მქონე პირებს.

ამასთან, საოკუპაციო ძალა თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვას უკავშირებდა სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ აღმართულ პოლიციის საგუშაგოს და მის აღებას ითხოვდა.

უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, მათ შორის ე.წ. გადასასვლელი პუნქტების აღმართვა და მათი შემდგომი, პერიოდულად დახურვის პრაქტიკა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს და ამძიმებს არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და ჰუმანიტარულ ვითარებას.

ზემოაღნიშნული დესტრუქციული აქტივობები აგრესიული დეზინფორმაციის კამპანიის ფონზე მიმდინარეობდა, რაც კიდევ უფრო აზიანებდა უსაფრთხოების მყიფე გარემოს. დეზინფორმაციული განცხადებები უმეტესად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად და ადგილობრივებზე მანიპულაციისთვის გამოიყენებოდა.

გავრცელდა არაერთი დეზინფორმაციული განცხადება. საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო რეჟიმმა კვლავ წამოჭრა ე.წ. დელიმიტაცია-დემარკაციისა და „ძალის გამოუყენებლობის შესახებ" შეთანხმების ხელმოწერის საკითხები. ამასთან, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის მიზნით, საოკუპაციო ძალა პერიოდულად აჟღერებდა დეზინფორმაციას თრუსოსა და ღუდის ხეობასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავდა მათ კონფლიქტის ნაწილად ქცევას და საქართველოს აგრესორად წარმოჩენას.

ე.წ. ჰიბრიდული ომის ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების კომბინაცია მიზნად ისახავდა ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციას, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ლეგიტიმაციას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ მცხოვრები პირების დაშინებას, თბილისის დისკრედიტაციას და საოკუპაციო ხაზით გაყოფილი საზოგადოების გაუცხოებას.

2024 წელს რუსეთი ხელს უწყობდა ოკუპირებული რეგიონების „საგარეო აქტივობებს", განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებთან, სადაც რუსეთის გავლენა შედარებით ფართოდ იყო გავრცელებული. ამ მიმართებით მნიშვნელოვან პლატფორმად გამოიყენებოდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაც, სადაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს იქ აკრედიტებული ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დამყარება სურდათ.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ რეგიონებსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის შეინიშნებოდა სხვადასხვა მიმართულებით კავშირების დამყარების დინამიკა.

2024 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან წასული პირები განაგრძობდნენ უკანონო მონაწილეობას რუსეთ-უკრაინის ომში. დაფიქსირდა ოკუპირებული რეგიონების სხვადასხვა ტიპის აქტივობა უკრაინის ანექსირებულ რეგიონებთან.

ნიშანდობლივია, რომ აშშ-მა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მოქმედ „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკს" სანქციები დაუწესა. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, „ბანკი" რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მიმდინარე უკანონო ფინანსურ ტრანზაქციებში შუამავლის როლს ასრულებდა. დაფინანსების ხსენებულ სქემას რუსეთი უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებითაც იყენებდა.

საერთაშორისო მექანიზმები

2024 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალისა და საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან ფიქსირდებოდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების დაზიანების მცდელობა, მათ შორის ძირითადი საკითხებიდან ყურადღების გადატანის მცდელობებითა და შეხვედრების გეოგრაფიული ლოკაციის შეცვლის შესახებ განცხადებებით.

საანგარიშო პერიოდში ოკუპაციიდან მომდინარე საფრთხეები და გამოწვევები მუდმივად განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე.

2024 წელს ჟენევის ფორმატის სამი შეხვედრა ჩატარდა, რომელზეც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, მანდატის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო **თამაზ გინტურისა** და **ვიტალი კარბაიას** საკითხს, მოითხოვა სამართლის აღსრულება და დამნაშავეების დასჯა. განხილვის ძირითად საკითხებს, ასევე, წარმოადგენდა უკანონოდ დაკავებულ პირთა გათავისუფლება და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის შემთხვევები.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 2024 წელს IPRM-ის 7 შეხვედრა გაიმართა, მათ შორის ერთი - ე.წ. ტექნიკური შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო ძალა წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების რაოდენობის შემცირებას ცდილობდა.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ შეხვედრებზე მოითხოვდნენ უკანონოდ დაკავებული პირების უპირობო და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების უფლებით უზრუნველყოფას და სხვა. ასევე, ყურადღება მახვილდებოდა ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესის დამაზიანებელ შედეგებზე.

რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებას, გასული წლის მსგავსად, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ფორმალურად თანხმობას აცხადებდნენ ოკუპირებულ გალში IPRM-ის შეხვედრების აღდგენაზე, თუმცა, რეალურად, მათი მხრიდან ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. მეტიც, პროცესის შესაფერხებლად ფიქსირდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური შინაარსის წინაპირობები.

საოკუპაციო ხაზსა თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ინციდენტზე რეაგირებისას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად სარგებლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით მოქმედი „ცხელი ხაზით“. საანგარიშო პერიოდში იგი 2 264-ჯერ გააქტიურდა, მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 316-ჯერ, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით - 1 948-ჯერ.

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა თანამშრომლობა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), რომელიც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგების მონიტორინგის განმახორციელებელ ერთადერთ ორგანიზაციას წარმოადგენს. ამავდროულად, უზრუნველყოფს ევროკავშირის ინფორმირებულობასა და ჩართულობას ადგილზე მიმდინარე პროცესებში.

მიუხედავად იმისა, რომ მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, რუსეთის საოკუპაციო ძალის გადაწყვეტილებით, 2024 წელსაც მანდატი სრულად ვერ სრულდებოდა და EUMM-ი ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას ვერ ახერხებდა.

ზემოაღნიშნული ობსტრუქციის მიუხედავად, EUMM-ი, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საოკუპაციო ხაზზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

საანგარიშო პერიოდში მისიის საქმიანობისთვის ხელის შეშლის არაერთი მცდელობა დაფიქსირდა, მათ შორის, მძიმე შემთხვევაც, როდესაც ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა მისიის რამდენიმე წარმომადგენელი უკანონოდ დააკავეს.

საოკუპაციო ძალა სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ EUMM-ის პატრულირების პროცესის დაზიანებას, რაც, ერთი მხრივ, მისიის საქმიანობის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად, ხოლო მეორე მხრივ - საოკუპაციო ხაზის ე.წ. ლეგიტიმაციას.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების საკითხზე მრავალმხრივი თანამშრომლობა მიმდინარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (OSCE) და ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლებთან.

ჰუმანიტარული მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობა, რაც მოიცავდა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევასა და მათ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანას. ორგანიზაციის ჩართულობით, ასევე ინტენსიურად მიმდინარეობდა 90-იანი წლების კონფლიქტისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროცესი. საანგარიშო პერიოდში ამ მიზნით „სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის“ 2 შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მჭიდროდ და აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების, რუსეთის

ფედერაციის მხრიდან გააქტიურებული ანექსიური პროცესებისა და მათი თანამდევი ფართო დეზინფორმაციული კამპანიის გასანეიტრალებლად. ამასთან, ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმირების მიზნით, მანდატის ფარგლებში, სამსახური მართავდა შეხვედრებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებთან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2024 წელს საქართველოს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემოზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა რუსეთ-უკრაინისა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები.

შავი ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა გამოიწვია ტრადიციული სავაჭრო და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების მარშრუტების შეფერხება. აღნიშნულმა, ერთი მხრივ, ქვეყანაში შენარჩუნებული მშვიდობის ფონზე, საქართველოს გაუჩინა ეკონომიკური ზრდის ახალი პოტენციალი და პერსპექტივები, თუმცა, მეორე მხრივ, გაზარდა ცალკეული აქტორების მხრიდან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით მანიპულირებისა და უსაფრთხოების გარემოს დაზიანების მცდელობები.

საანგარიშო პერიოდში, 2023 წლის მსგავსად, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა აქტორის მიერ, როგორც საპარლამენტო არჩევნებამდე, ისე მის შემდგომ, საქართველოში პოლიტიკური გარემოს დესტაბილიზაციისა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილების მცდელობებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი, სხვადასხვა საბაბით (მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ მიღება, საპარლამენტო არჩევნების „გაყალბება“), საქართველოში გეგმავდა სამოქალაქო არეულობის და დესტაბილიზაციის პროვოცირებას, რომლის საბოლოო მიზანი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა იყო.
პირთა გარკვეული ჯგუფების მოქმედებები იმართებოდა უცხო ქვეყნებიდან მომდინარე დაფინანსებით, საპარლამენტო და არასაპარლამენტო კონკრეტული პოლიტიკური პარტიების ლიდერების და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ.

სხვადასხვა პერიოდში დანაშაულებრივ გეგმებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის გარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ, უკრაინაში მებრძოლი ქართველების კონკრეტული ნაწილი, რომლებიც აცხადებდნენ მზადყოფნას ჩამოსულიყვნენ საქართველოში და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პოლიციის წინააღმდეგ დაგეგმილ ძალადობაში, რასაც მოჰყვებოდა სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა. მათ შორის განიხილებოდა მმართველი ძალის თანამდებობის პირების ლიკვიდაციის გეგმები.

საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორების მიზანს მიმდინარე პროცესების ე.წ. „მაიდანიზაცია" წარმოადგენდა. იგეგმებოდა თბილისის სატრანსპორტო კვანძების პარალიზება, სამთავრობო დაწესებულებებსა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებთან მისასვლელი გზების, სამართალდამცავი ორგანოების დისლოკაციის გზების ბლოკირება, ცენტრალურ გამზირებზე ე.წ. კარვების ქალაქების მოწყობა.

საპროტესტო მუხტისა და რადიკალიზმის გასაზრდელად დაგეგმილი იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა პროვოცირება დემონსტრანტებთან დასაპირისპირებლად, რასაც უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლი. ამ მიზნით ცალკეული ახალგაზრდული ჯგუფების მიერ გამოიყენებოდა პიროტექნიკა და ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილები".

არსებული ინფორმაციით, საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორების მიერ, ასევე, იგეგმებოდა, 2024 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პროცესის ჩაშლა. ამ მიზნით, განიხილებოდა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლი და მასზე პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ხელისუფლებას.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორების აგრესიის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები. მათი დემორალიზების და პროვოცირების მიზნით გამოიყენებოდა ე.წ. „ფერადი რევოლუციების" მოწყობასთან დაკავშირებული ისეთი მეთოდები, როგორიცაა მათ მიმართ მუქარა, მოსყიდვა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხარეს მათი გადასვლის ინსცენირება, რაც, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავდა სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის განცდის შექმნას.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, განაგრძობდა მუშაობას საქართველოში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურის საქმიანობისა და მათი პრიორიტეტების გამოვლენის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის ბერკეტების შექმნას. ამ კონტექსტში მათ ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასა და მათ ლიდერებთან კავშირების

დამყარება, თანამშრომლობის გაღრმავება და მათი შესაძლებლობების გამოყენება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სასურველი სცენარით წარმართვის მიზნით.

ოპერატიული საქმიანობის შედეგად გამოვლინდა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც ღიად თანამშრომლობდა უცხოურ, მათ შორის პოლიტიკურ ძალებთან და მონაწილეობდა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის და მათი წარმომადგენლების მხრიდან, სხვა მსგავსი პოლიტიკური შეხედულებების ძალებთან ერთად, გამოიკვეთა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართვის მცდელობები.

2024 წელს, საქართველოში საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გატარების მიზნით, უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურები ცდილობდნენ აქტიურად გამოეყენებინათ ქვეყანაში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციები. მათი მხრიდან გამოვლინდა გაზრდილი ინტერესი და მცდელობები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლების ან მათთან ასოცირებული პირების ჩასართავად. ამ მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, ასევე, გაზრდილი იყო დაფინანსების რაოდენობა.

დაფიქსირდა აღმსარებლობის მიხედვით პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის და უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან დაკავშირებული პირების მხარდასაჭერად, რელიგიური ნიშნით, ერთგვარი ელექტორალური ბაზის შექმნის მცდელობები, რაც, ქვეყანაში შექმნილი ისედაც დაძაბული პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, შესაძლოა მნიშვნელოვან საფრთხედ ქცეულიყო და უკიდურესად დაეზიანებინა ეროვნული უსაფრთხოება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ მიმართულებით მიმდინარეობდა პროცესების მონიტორინგი. გრძელდებოდა უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან კავშირში მყოფი პოლიტიკური თუ რელიგიური პირების გამოვლენა და, სათანადო მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში, ქვეყნის ინტერესებისთვის არასასურველი პროცესების აღსაკვეთად ტარდებოდა შესაბამისი, მათ შორის პრევენციული, ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოზე ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების მოპოვება.

აღნიშნული საკითხის გააქტიურება გამოიწვია რუსეთ-უკრაინის ომისა და 2024 წელს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოს გავლით სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული დერეფნების დატვირთვის გაზრდის პერსპექტივებმა.

საანგარიშო პერიოდში, რეგიონის სატრანზიტო პოტენციალის ზრდიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნების ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა მხრიდან გრძელდებოდა

საქართველოში ახალი ბიზნესპროექტების განხორციელების მცდელობები. მათი სავარაუდო ამოცანა ქვეყნის საკვანძო ეკონომიკურ სექტორებში შეღწევა და ანგარიშგასაწევ ბიზნესსუბიექტებად ჩამოყალიბება იყო. აღნიშნულის მეშვეობით, ისინი შეეცდებოდნენ ხელისუფლებისთვის მათთვის სასარგებლო გადაწყეტილებების მიღება მოეთხოვათ.

2024 წელს, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, ოპერატიულ კონტროლზე იქნა აყვანილი საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიებისა და უცხოური კაპიტალით საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირებისა და მათი წარმომადგენლობების საქმიანობა, უცხოური ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან მათი შესაძლო კავშირების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უცხოური კაპიტალით საქართველოში დაფუძნებული რამდენიმე კომპანია, რომელთა წარმოებული პროდუქცია შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ორმაგი (სამოქალაქო და სამხედრო) დანიშნულებით. ასევე, დადგინდა მათი საქმიანი კავშირები უცხო ქვეყნების სამთავრობო და თავდაცვის უწყებებთან.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა იმ კომპანიებისა და მათი წარმომადგენლების ოპერატიული კონტროლი, რომლებიც საქმიანობას ეწევიან საზღვარგარეთ და აქვთ ახლო კავშირები უცხო ქვეყნების ხელისუფლებების მაღალი თანამდებობის პირებთან, შეიარაღებული ძალებისა და სხვა ძალოვანი უწყებების ყოფილ თუ მოქმედ მაღალჩინოსნებთან.

საანგარიშო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ისეთი ეკონომიკური და ბიზნესპროექტების გამოვლენაზე მუშაობას, რომლებიც შესაძლოა უცხო ქვეყნების შესაბამისი სამსახურების მიერ გამოყენებული ყოფილიყო საქართველოზე ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად.

მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივ ან მრავალმხრივ ფორმატში გასაფორმებელი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზი, მათი შესაძლო თანამდევი რისკების იდენტიფიცირების მიზნით.

არსებული გამოწვევების შესამცირებლად მუშავდებოდა რეკომენდაციები და გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, გამოიკვეთა ცალკეულ უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურთან დაკავშირებული გარკვეული ჯგუფების მნიშვნელოვანი გააქტიურება და საქმიანობის სფეროების გაფართოება. მათ მიზანს რეგიონებში სეპარატისტული/ნაციონალისტური იდეოლოგიის გავრცელება და შესაბამისი განწყობების შექმნა წარმოადგენდა.

ფიქსირდებოდა მათი მხრიდან საზოგადოებრივი აქტივობების ზრდა, რაც მოიცავდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზებას, მათ საქმიანობაში ზოგიერთი პოლიტიკოსის, არასამთავრობო სექტორისა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვას, საინფორმაციო-პროპაგანდისტული საშუალებების შექმნას (ტელევიზია, ბეჭდური მედია, სოციალური ქსელების გამოყენება).

გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა, რომ საზღვარგარეთ და საქართველოში მოქმედი ცალკეული ნაციონალისტური და სეპარატისტული იდეოლოგიის მატარებელი ორგანიზაცია თუ პიროვნება საჯაროდ, მიზანმიმართულად აკეთებდა ანტიქართულ და ნაციონალისტურ განცხადებებს, ეწეოდა დეზინფორმაციულ კამპანიას ისტორიულ მოვლენებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და საკულტო ნაგებობების კუთვნილებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა ინტერნეტსივრცე და სოციალური ქსელები.

ზემოაღნიშნული პროცესების მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა ზოგიერთი უცხოური და ადგილობრივი მედიასაშუალების მიერ პროვოკაციული განცხადებების შემთხვევები, რასაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შესაძლოა გამოეწვია უკმაყოფილების მუხტის გაღვივებისა და დაპირისპირების პროვოცირების საფრთხე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ნაციონალისტური და სეპარატისტული განწყობების გაღვივებაში ჩართული ძალების გამოვლენას და მათი საქმიანობის კონტროლს. დაფიქსირდა მათი საქმიანობის უცხოეთიდან დაფინანსების შემთხვევები. გამოვლინდა რამდენიმე პირი, რომლებიც ცდილობდნენ ახალგაზრდებში ანტიქართული განწყობების გავრცელებას. გატარდა შესაბამისი ღონისძიებები მათი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან კავშირების დადგენისა და დესტრუქციული ქმედებების აღკვეთა/პრევენციის მიზნით.

ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესის სფეროში შედიოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და სხვა ძალოვან უწყებებში არსებული ვითარება, მათი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, ინფორმაცია უწყებებში არსებული პრობლემების, პირადი შემადგენლობისა და განწყობების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა ძალოვანი უწყებების კონტრდაზვერვით უზრუნველყოფას. საყურადღებო პირთა გამოვლენისა და შესაძლო დესტრუქციული ქმედებების პრევენციის მიზნით მიმდინარეობდა ვითარების ოპერატიული მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები საქართველოში საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებდნენ იმ რესურსებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, ასევე საზოგადოებრივ განწყობებზე ზეგავლენის მოხდენა.

არასამთავრობო სექტორი, სამეცნიერო და ექსპერტთა ჯგუფები, საგანმანათლებლო პროფილით მომუშავე ორგანიზაციები, ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ ლოიალურად განწყობილი პირები და პირთა ჯგუფები წარმოადგენენ ერთგვარ მოწყვლად სეგმენტს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიმართ. აღნიშნული ჯგუფების ცალკეული წარმომადგენლები მუშაობდნენ დაინტერესების საკითხებზე სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა და ოპერატიული პოზიციების შექმნის კუთხით.

2024 წელს საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საკუთარი ქვეყნის ინტერესების გასატარებლად აქტიურად ცდილობდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან და მათ ლიდერებთან კავშირების დამყარებას. ასევე, საკუთარ მიზნებში ჟურნალისტების, კერძო კომპანიების, დიასპორული ორგანიზაციებისა და საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მყოფ უცხო ქვეყნების მოქალაქეების გამოყენებას.

გამოვლინდა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს მოქალაქეებთან კონტაქტის დამყარების, მათთვის საყურადღებო თემებზე გამოკითხვისა და გადაბირების მცდელობები. სავარაუდოდ, მსგავსი კონტაქტებისას, ასევე, სპეციალური სამსახურების წარმომადგენლები მათთვის სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად გარკვეულ ტექნიკურ ღონისძიებებს ატარებდნენ.

დაფიქსირდა ცალკეული მასმედიის წარმომადგენლის კავშირი უცხო ქვეყნების ოფიციალურ პირებთან და სავარაუდოდ, სპეციალური სამსახურების წარმომადგენლებთან, რომლებისგანაც იღებდნენ დაფინანსებას და მითითებებს, ასევე აწვდიდნენ ინფორმაციას დაინტერესების საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში, გამოვლინდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოში ვიზიტად მყოფი პირების გამოყენების მცდელობები. დაფიქსირდა უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე საეჭვო საქმიანობის განხორციელების ფაქტები, რაც გამოიხატა GPS კოორდინატების დადგენაში, დრონებით ფოტო და ვიდეოგადაღებებში. აღნიშნული კატეგორიის ზოგიერთი პირის მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის ამოქმედდა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმი.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დესტრუქციული საქმიანობის განეიტრალების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, აგრძელებდა აქტიურ მუშაობას, ხორციელდებოდა მათი დაინტერესების მიმართულებების, მათ ინტერესებში მოქმედი

პირებისა და პირთა ჯგუფების გამოვლენა, მათი საქმიანობის მონიტორინგი, ამოცანებისა და მიზნების დადგენა.

სამსახურის ოპერატიული, ოპერატიულ-საგამოძიებო და ანალიტიკური მუშაობის შედეგად, მათ შორის სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციის პირობებში, მოხერხდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებული ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი ღონისძიებების განეიტრალება.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 8 საქმეზე. ამასთან, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოპოვებული ათობით ოპერატიული ინფორმაცია ქვემდებარეობით გადაიგზავნა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეებზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში, სამსახური სახელმწიფო ორგანოებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტებზე ატარებდა საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებს „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ნორმების საფუძველზე. გასცემდა პრევენციული სახის რეკომენდაციებს განსაზღვრულ ობიექტებზე უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების შეღწევის ან ფუნქციონირებისთვის ხელშემშლელი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

2024 წელს სამსახური განაგრძობდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვებისა და სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვებისთვის სანდოობისა და საიმედოობის დასადგენად სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება გაიცა 128 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე, ხოლო გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის საფუძველზე, აღნიშნული ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა 9 მათგანს.

საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 32 ორგანიზაცია-დაწესებულებაში. 11 275 ფიზიკურ პირზე განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების შემოწმების პროცედურა.

გარდა ამისა, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ სარეჟიმო ობიექტებს მიეწოდა შესაბამისი ინფორმაცია და გაეწიათ სათანადო მეთოდური დახმარება.

2024 წელს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების თანამშრომლებისა ან მათთან კავშირში მყოფი პირების გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საქართველოში სხვადასხვა საფუძვლით შემოსვლისა და ცხოვრების ნებართვის მოპოვების მსურველთა შესწავლას, რაც საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვით ხორციელდებოდა.

დადგენილ იქნენ პირები, რომლებიც ე.წ. ფიქტიური ქორწინებების, შრომითი ხელშეკრულებების, რეგისტრირებული კომპანიების, სასწავლო ვიზის მიღებისა და უძრავი ქონების შეძენის საბაბით ითხოვდნენ სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვას და ლტოლვილის სტატუსს.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა 77 894 უცხო ქვეყნის მოქალაქის საქმე, რომლებიც ითხოვდნენ საქართველოში სხვადასხვა სტატუსით ცხოვრების ნებართვის მოპოვებას. აქედან, უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა 5 316 პირზე. საქართველოს მოქალაქეობის სხვადასხვა წესით მინიჭება/შენარჩუნება/აღდგენასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 12 402 საქმე. გატარებული ოპერატიული და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 2024 წელს ფიქციური დოკუმენტების საფუძველზე, სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვის მიღებას ცდილობდა უცხო ქვეყნის 186 მოქალაქე, რის შესახებ ინფორმირებულ იქნენ საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები. გრძელდებოდა აქტიური მუშაობა საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღების საკითხში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხელშემწყობი პირების კავშირებისა და მათი შესაძლო უკანონო საქმიანობის გამოვლენის მიზნით. საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღების მსურველთა შორის სამსახურმა გამოავლინა პირები, რომლებიც ინტერპოლის მიერ იძებნებოდნენ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მათ შესახებ ინფორმაცია ეცნობა შესაბამის უწყებებს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, მიგრაციული არხების მონიტორინგის პროცესში, გამოავლინა და ოპერატიულ კონტროლზე აიყვანა საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მცხოვრები პირები, რომლებიც უცხო ქვეყნის სასარგებლოდ პროპაგანდისტული საქმიანობით იყვნენ დაკავებული. ასევე, გამოვლინდა ამ კატეგორიის პირების მიერ ანტიქართული და ქვეყნისთვის საზიანო დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტები. შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარდა ყველა საჭირო ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ატარებდა ყველა საჭირო ღონისძიებას სანქციებისთვის თავის არიდების პრევენციისთვის.

ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში იურიდიული პირების დაფუძნების შემთხვევები და მიღებულ იქნა ზომები, სანქციებისთვის თავის არიდების პროცესში ქართული კომპანიების შესაძლო ჩართვის აღსაკვეთად. შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე 2024 წელს ამ ტიპის საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები არ დაფიქსირებულა.

მიგრაციული ნაკადების კონტროლის მიმართულებით საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესება. 2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, სასაზღვრო ტექნოლოგიების გასავითარებლად მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა.

სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს შემუშავებული აქვს სასაზღვრო უსაფრთხოების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროექტი „სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემა" (BOMS). აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM), სააგენტო ახორციელებდა სახელმწიფო სახმელეთო საზღვარზე ელექტრონული დაკვირვების სისტემების ტექნოლოგიური ინტეგრაციისა და მოწყობის სამუშაოებს და მის ტექნოლოგიურ მხარდაჭერა-მომსახურებას. ამავე პროექტის ფარგლებში, ხორციელდებოდა მობილური დაკვირვების სისტემების აწყობა/ინტეგრაცია და შემდგომი ტექნოლოგიური მომსახურება.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ ხორციელდებოდა BOMS-ის პროექტის ფარგლებში ექსპლუატაციაში გაშვებული სისტემების მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და მათზე დროული რეაგირება. სააგენტოს ბაზაზე მოქმედ „მულტისენსორული კამერების მომსახურების ცენტრში" ტარდებოდა ელექტრონული დაკვირვების სისტემების დიაგნოსტიკა და შეკეთება.

ასევე, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, უცხოელი სპეციალისტების მიერ შესაბამისი მიმართულებით მომზადებული და სერტიფიცირებული პერსონალის მეშვეობით, პერმანენტულ რეჟიმში ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებული ბირთვული და რადიაციული კონტროლის სისტემების პროგრამულ/ტექნიკურ მომსახურებას და ადმინისტრირებას.

დეზინფორმაცია და ჰიბრიდული ომის სხვა საფრთხეები

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებდა, რათა პრევენცია მოეხდინა ან/და აღეკვეთა ე.წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციებისა და საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების გამოყენებით ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წარმოებული ღონისძიებები.

დეზინფორმაცია და პროპაგანდა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ განსაკუთრებით გაიზარდა დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის მასშტაბი, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც საქართველოსა და საზღვარგარეთ უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან დაკავშირებული პირები და პირთა ჯგუფები, ასევე სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო თუ რეგიონული ინსტიტუტების წარმომადგენლები.

2024 წელს საინფორმაციო ომის ფარგლებში სხვადასხვა ძალის მიერ წარმოებული კამპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირეებთან პარტნიორული ურთიერთობების დაზიანება, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეფერხება, საქართველოს, როგორც დემოკრატიული და დასავლური ფასეულობების მატარებელი ქვეყნის იმიჯის დისკრედიტაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების უნდობლობისა და უკმაყოფილების გაზრდა, ასევე, საზოგადოებაში პოლარიზაციის დონის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში ცალკეული დასავლური ქვეყნებიდან და ინსტიტუტებიდან წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიის შედეგებმა ცხადყო, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, აღნიშნულმა მიდგომამ მნიშვნელოვნად გაუადვილა ცალკეული ქვეყნების სპეციალურ სამსახურებს ქვეყანაში ეფექტიანი ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოება.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ცალკეული მედიასაშუალებები და ჟურნალისტები, რომლებიც უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების ან მათთან კავშირში მყოფი პირების, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მითითებითა და დაფინანსებით საქართველოში ახორციელებდნენ პროექტებს, რომლებიც კონკრეტული ქვეყნების ინტერესების გატარებას ემსახურებოდა, ღიად ეწეოდნენ უცხო ქვეყნებისთვის სასარგებლო პროპაგანდას და სახელმწიფოს უსაფუძვლო კრიტიკას.

საანგარიშო პერიოდში, დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის ერთ-ერთ ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეების ახალგაზრდული სეგმენტი, ასევე, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა.

გამოვლინდა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ცალკეული ჯგუფები, ასევე, მედიასაშუალებები, რომლებიც საქართველოში უკმაყოფილების მუხტის გაღვივებისა და საზოგადოების დაპირისპირების (მათ შორის თაობებს შორის) მიზნით ზემოაღნიშნული კატეგორიის მოსახლეობაში ავრცელებდნენ ცრუ და დამახინჯებულ ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას, ხოლო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის, ნაციონალისტური ხასიათის განცხადებებს და ანტიქართულ ნარატივებს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ე.წ. საინფორმაციო ომის ფარგლებში მიმდინარე პროპაგანდისტული კამპანიების მონიტორინგს.

გამოვლენილ იქნა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი სხვადასხვა სახის ორგანიზაციები, მედიასაშუალებები, სოციალური ქსელების ანგარიშები, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში შუღლისა და ნაციონალისტური განწყობების გაღვივება. არსებული გამოწვევების გასანეიტრალებლად, სამსახურის მიერ ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები სხვადასხვა სახის სადაზვერვო ღონისძიებების და საკუთარი ინტერესების გასატარებლად აქტიურად იყენებდნენ ფარულ ოპერაციებს და ე.წ. რბილი ძალის ინსტრუმენტებს.

ამ მიზნით უცხო ქვეყნების პოლიტიკური ძალების, სახელმწიფო ინსტიტუტების, ცალკეული ფონდების, სხვადასხვა პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების დაფინანსებით და ორგანიზებით ტარდებოდა კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, მედიაფორუმები, ხორციელდებოდა ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობ-შემეცნებითი პროექტები.

უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან კავშირში ეჭვმიტანილი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მიღებული დავალების შესაბამისად, ცდილობდნენ ქვეყანაში დესტრუქციული პროექტები განეხორციელებინათ.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, დაფიქსირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ადგილობრივი წარმოშობის ზოგიერთი ბიზნესმენისა და საქართველოში მოქმედი უცხოური კომპანიის მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სოციალური, ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და ბიზნესპროექტის განხორციელების შემთხვევები. აღნიშნული მიზნად ისახავდა რეგიონებში მათი იმიჯისა და გავლენის ამაღლებას, რაც ზრდის უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ საკუთარ ინტერესებში მათი წარმატებით გამოყენების ალბათობას.

2024 წელს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა, რომ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოს ახალგაზრდულ სეგმენტზე მუშაობის გააქტიურება იყო, რომლის მიზანს უცხო ქვეყნებისადმი ლოიალურად განწყობილი და მათ ეროვნულ/საზოგადოებრივ ღირებულებებთან ახლოს მდგომი ახალი თაობის ფორმირების მცდელობა წარმოადგენდა.

ამ მიზნით, უცხო ქვეყნების სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდებისა თუ სხვა ტიპის ორგანიზაციების ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, საქართველოსა და საზღვარგარეთ ეწყობოდა ახალგაზრდული ბანაკები და ტარდებოდა სასწავლო პროგრამები. გამოვლინდნენ ცალკეული ორგანიზაციები, რომელთა აქტივობა ემსახურებოდა საქართველოში ახალგაზრდა თაობის ღირებულებების აღრევას და მათზე არასასურველი ზეგავლენის მოხდენას.

ამასთან, უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო ორგანიზაციების მხრიდან გახშირდა, საქართველოს შესაბამისი უწყებების გვერდის ავლით, პირდაპირი კავშირების დამყარების მცდელობები თბილისისა და რეგიონების საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან, ერთობლივ სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებებში ჩართვის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ წარმოებული ე.წ. რბილი ძალის და ფარული ოპერაციებიდან მომდინარე საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარდა სათანადო ოპერატიული ღონისძიებები.

შესაბამის უწყებებთან ერთად, პერმანენტულად მიმდინარეობდა ზემოხსენებული პროცესების კონტროლი და ანალიზი, შესაძლო კანონდარღვევების გამოვლენისა და პრევენციისთვის ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი აღნიშნულ საქმიანობაში მონაწილე ან/და ხელშემწყობი პირები და ორგანიზაციები.

გამოვლინდა საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან უცხოური კაპიტალით საქართველოში დაფუძნებული ცალკეული იურიდიული პირები, რომლებიც შესაძლოა გამოიყენებოდეს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო ოპერაციების რესურსად.

ტარდებოდა ინტენსიური ღონისძიებები საქართველოს ახალგაზრდულ სეგმენტზე უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების და სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დესტრუქციული მუშაობის აღკვეთა/პრევენციის მიზნით.

კიბერუსაფრთხოება

2024 წელს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩებოდა ქვეყნის კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ წარმოებული კიბერშეტევითი და კიბერსადაზვერვო ოპერაციები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ რეაგირება მოახდინა მძიმე და საშუალო სირთულის 173 კიბერინციდენტზე, რომლებიც განხორციელდა პირველი კატეგორიის

კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოები) წინააღმდეგ.

გატარებული ღონისძიებების ფარგლებში აღმოფხვრილ ან მინიმიზებულ იქნა შემტევი მხარის მავნე აქტივობები და კიბერინციდენტით გამოწვეული ზიანი.

ქვეყნის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების და კიბერშეტევების მიმართ სახელმწიფო სტრუქტურების დაცვის ხარისხის ასამაღლებლად, პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის 19 სუბიექტში განხორციელდა შეღწევადობის ტესტირება (პენეტრაცია), რომელმაც მოიცვა ჯანდაცვის, ენერგო და საჯარო მმართველობის სექტორები.

2024 წელს საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების დახმარებით ჩატარდა 8 ტრენინგი. აქედან, 4 ტრენინგი მიეძღვნა ინციდენტების მართვის, 3 - ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის, 1 - პენეტრაციის ტესტის თემატიკას. აღნიშნულ ტრენინგებს ესწრებოდნენ პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერები და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტები.

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ განახორციელა 22 პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტთა საინფორმაციო-ტექნოლოგიური შემოწმება. მიღებული შედეგები ეცნობა შესაბამის სუბიექტებს, რომლებმაც არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოახდინეს მათზე რეაგირება.

2024 წელს, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ეგიდით, საქართველოში პირველი ეროვნული კიბერკრიზისის ფართომასშტაბიანი სიმულაცია ჩატარდა. ღონისძიება კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის იყო განსაზღვრული და მასში 100-მდე პროფესიონალმა მენეჯერმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ შესაბამისი ეროვნული მარეგულირებლების წარმომადგენლები.

სწავლება გულისხმობდა დაცულ კორპორაციულ გარემოში განხორციელებული კომპრომეტირების ფაქტის დადგენას, ინციდენტის შეკავებას, სრულყოფილ გამოძიებასა და საბოლოო ჯამში, მძიმე შედეგების თავიდან აცილებას ან აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში მათ მინიმიზაციას.

სწავლების დასასრულს განისაზღვრა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალის ტექნიკური უნარების განვითარების მიმართულებები, რომლითაც იხელმძღვანელებს როგორც თავად კრიტიკული სუბიექტი, ისე სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური

სააგენტო შემდგომი პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

ხელოვნური ინტელექტი

საანგარიშო პერიოდში ხელოვნური ინტელექტის განვითარების მიმართულებით დაფიქსირებულმა წინსვლამ და სახელმწიფოებს შორის არსებულმა კონკურენციამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ხელოვნური ინტელექტი არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიურ მიღწევას, არამედ იგი იქცა ერთ-ერთ ინსტრუმენტად, რომლითაც სხვადასხვა წამყვანი ქვეყანა და რეგიონული გაერთიანებები ცდილობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური უპირატესობების მოპოვებას, ასევე, ზეგავლენას სხვა ქვეყნებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტს აქვს სახელმწიფოს ფაქტობრივად ყველა სექტორში პროცესის მართვის გაუმჯობესებისა და ქვეყნის განვითარებაში პოზიტიური წვლილის შეტანის პოტენციალი, მეორე მხრივ, იგი შეიძლება იქცეს მძლავრ ინსტრუმენტად ქვეყანაზე ძლიერი და დესტრუქციული გავლენის მოხდენის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარების ფონზე, უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებს ჰიბრიდული ომის ფარგლებში უფრო მეტად ეფექტიანი აქტიური ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა ექნებათ.

ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია ქვეყნის წინააღმდეგ მასშტაბური დეზინფორმაციული და მანიპულაციური საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება, რადგან შესაბამის პროგრამებს საშუალება ექნებათ მოახდინონ დიდი რაოდენობით ე.წ. ფეიკ-ნიუსისა და ვიდეომასალის გენერირება და გავრცელება. აღნიშნული ინსტრუმენტი განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების, ასევე, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების გამოსაწვევად, დეზინფორმაციის გავრცელებისა და ცრუ მოლოდინების კულტივირების გზით.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირებული ჯგუფები, საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში, გეგმავდნენ ხელოვნური ინტელექტის და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით დამონტაჟებული, ფალსიფიცირებული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გავრცელებას. აღნიშნულ ყალბ ჩანაწერებში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ხმები და ვიდეოგამოსახულებები, რაც მიზნად ისახავდა ხელისუფლების შტოებს შორის, ასევე ხელისუფლებასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დაპირისპირების გამოწვევას,

აგრეთვე ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის ურთიერთობების გაუარესებას.

იგეგმებოდა, რომ ფალსიფიკაციის შედეგად შექმნილ ყალბ ჩანაწერებს საზოგადოებას წარუდგენდნენ, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გაჟონილ ინფორმაციას და ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული ქმედებით მოახდენდნენ, ერთი მხრივ, უწყების დისკრედიტაციას, ხოლო, მეორე მხრივ, დისონანსის შეტანას სახელისუფლებო შტოებს შორის. პროვოკაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საპროტესტო მუხტის ხელოვნურად შექმნა და აგორება, ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების გაჩენა, რაც საბოლოოდ გამოყენებული იქნებოდა პოლიტიკური მიზნებისთვის.

ცალკეული ქვეყნების მიერ ხელოვნური ინტელექტის პროგრამების ე.წ. სწავლების პროცესში, შესაძლებელია მასში მოხდეს საქართველოს შესახებ გაყალბებულ ფაქტებზე (ისტორიული, კულტურული და სხვა) დაფუძნებული ინფორმაციის შეტანა, რაც მომხმარებელს, აღნიშნული თემის შესწავლის შემთხვევაში, შეუქმნის ქვეყნის შესახებ არასწორ შეხედულებებსა და აღქმებს.

უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ ხელოვნური ინტელექტი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევების განსახორციელებლად, რაც დამატებით გამოწვევებს შეუქმნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების დაცვის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან დაკავშირებული გლობალური მასშტაბით მიმდინარე პროცესების მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვადასხვა ქვეყნის სტრატეგიების, მიდგომების, პრიორიტეტული ამოცანებისა და მოსალოდნელი საკანონმდებლო რეგულაციების ძირითადი პრინციპების შესწავლას.

განხორციელდა ხელოვნური ინტელექტისგან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირება, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. მათ შორის განისაზღვრა ხელოვნური ინტელექტისგან მომდინარე ისეთი რისკებიც, რომლებიც შესაძლოა არ იყოს გამოწვეული უცხო ქვეყნებისა და მათი სპეციალური სამსახურების დესტრუქციული ქმედებებით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

2024 წელს საერთაშორისო ტერორიზმი მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა.

გლობალური მასშტაბით ძირითადი ტერორისტული გამოწვევები კვლავ „დაეშს“ და „ალ-კაიდას“ უკავშირდებოდა. რეგიონული თვალსაზრისით უსაფრთხოების გარემოს განსაკუთრებით აზიანებდა ისრაელის წინააღმდეგ მიმართული „ჰეზბოლას“ და „ჰამასის“ თავდასხმები/საბრძოლო მოქმედებები, ასევე, ახლო აღმოსავლეთში აქტიური სხვა დაჯგუფებების დესტრუქციული ქმედებები. ლოკალურ დონეზე თუ რეგიონულ კონტექსტში, შესაბამის სირთულეებს ასევე ქმნიდა „თალიბანი“.

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება

„დაეში“ („ისლამური სახელმწიფო“)

2024 წელს „დაეშმა“ რამდენიმე ტერაქტი თავისი ძირითადი სამოქმედო არეალის მიღმა განახორციელა, მათ შორის, თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით გამოირჩეოდა მოსკოვის - „კროკუს სითი ჰოლის“ ტერაქტი. ტერორისტული ორგანიზაცია მასშტაბური თავდასხმების ორგანიზებას ევროპაშიც ცდილობდა, თუმცა ძირითად შემთხვევაში მათი გამოვლენა და აღკვეთა წარმატებით მოხერხდა. ამ მხრივ გამოწვევას წარმოადგენდა „დაეშის“ პირდაპირი ჩართულობის გარეშე, მისი იდეოლოგიით „ინსპირირებული“, რადიკალიზებული მიგრანტების მიერ ევროპის ქალაქებში განხორციელებული მცირე მასშტაბის თავდასხმები.

საანგარიშო პერიოდში „დაეშმა“ სირიასა და ერაყში ტერაქტების რაოდენობა, 2023 წელთან შედარებით, თითქმის გააორმაგა. მაღალი აქტივობა შეინარჩუნა ავღანეთსა და აფრიკაში, ხოლო გარკვეულ ტერიტორიებზე, რომლებიც მანამდე მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, ტერორისტული თავდასხმები დაგეგმა ან განახორციელა.

2024 წლის ბოლოს სირიაში შეცვლილი ვითარების პირობებში, პრობლემად რჩებოდა ადგილობრივ ბანაკებსა და ციხეებში მყოფი „დაეშის“ უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათი რადიკალიზებული ოჯახის წევრების საკითხი. მათგან მომდინარე საფრთხის შეკავება სირთულეს წარმოადგენდა ადგილზე, ხოლო პოტენციური რეპატრიაცია - რისკებს შეიცავდა მათი წარმოშობის სახელმწიფოებისთვის.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ „დაეშის“ მიერ საკუთარი სამოქმედო არეალის მიღმა ტერაქტების მოწყობაში მნიშვნელოვანი წვლილი ტერორისტული ორგანიზაციის ცალკეულმა ე.წ. რეგიონულმა დანაყოფებმა შეიტანეს. მათ შორის აღსანიშნავია

„ისლამური სახელმწიფო - ხორასანი“, რომლის ძირითად ფუნქციას „ონლაინსივრცეში“ გადაბირება და თავდასხმების უშუალო ორგანიზება წარმოადგენდა.

ნიშანდობლივია, რომ ევროპის მასშტაბით, „დაეშის“ ტერაქტებს ან ტერაქტების მცდელობებს, ისეთ ლოკაციებზე ჰქონდა ადგილი, სადაც ბოლო წლების განმავლობაში ტერორისტული ორგანიზაციის აქტივობა ნაკლებად ფიქსირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ სირიაში განვითარებული პროცესების შედეგად შეცვლილი ვითარებით „დაეშმა“ ისარგებლა და ქვეყანაში მცირე მასშტაბის აქტივობები განახორციელა, რაც სირიაში მისი პოზიციების/რესურსების გარკვეულწილად გაძლიერებისკენ იყო მიმართული.

აფრიკაში მოქმედი „დაეშის“ ე.წ. დანაყოფების „საქმიანობა“ ტერორისტული ორგანიზაციის გლობალური აქტივობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა. „დაეშის“ ადგილობრივი დაჯგუფებები, სხვადასხვა კრიმინალური აქტივობების შედეგად თვითდაფინანსებას წარმატებით ახერხებდნენ.

„ალ-კაიდა“

2024 წლის განმავლობაში, „ალ-კაიდას“ მნიშვნელოვანად გაძლიერების ან დასუსტების ტენდენცია არ გამოკვეთილა. ტერორისტული ორგანიზაცია აფრიკის კონტინენტზე მოქმედებას, ავღანეთში კი მისთვის ხელსაყრელი ვითარებით სარგებლობას განაგრძობდა, სადაც მისი ლიდერები და მებრძოლები „უსაფრთხოდ“ იყვნენ ბაზირებული.

ტერორისტული თავდასხმების მხრივ, „ალ-კაიდას“ ყველაზე აქტიურ ე.წ. რეგიონულ დანაყოფებს მისი აფრიკული დაჯგუფებები წარმოადგენდნენ, რომელთა მიერ განხორციელებული თავდასხმების რიცხვი საანგარიშო პერიოდში გაიზარდა, ზოგიერთი დაჯგუფების შემთხვევაში კი გაორმაგდა.

2024 წლის განმავლობაში „ალ-კაიდამ“ ავღანეთის 10 პროვინციაში კიდევ უფრო მეტი ტერორისტთა საწვრთნელი ბანაკი შექმნა, მისმა ახალმა ლიდერმა კი მხარდამჭერებს მთელი მსოფლიოდან ავღანეთში ჩასვლისა და ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში გაერთიანებისკენ მოუწოდა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულის პარალელურად, ტერორისტული ორგანიზაციის დეკლარირებულ მიზნად დასავლეთში თავდასხმების განხორციელება რჩებოდა.

„თალიბანი“

ავღანეთის მმართველი რეჟიმი „თალიბანი“, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებზე დამყარებული ადმინისტრირების შედეგად, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, მრავალი მიმართულებით ქმნიდა გამოწვევებს. ადგილზე „ალ-კაიდასთვის“ სხვადასხვა მიმართულებით გაწეული დახმარების გარდა, „თალიბანის“ მმართველობას უკავშირდებოდა ავღანეთში არსებული ჰუმანიტარული კრიზისი, ნარკოტიკებით

ვაჭრობა და მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ „თალიბანმა“ ვერ შეძლო ქვეყანაში მოქმედი „დაეშის“ დასუსტება.

„თალიბანის“ მმართველობის პირობებში, „ალ-კაიდას“ გაძლიერების გარდა, ავღანეთში ტერორისტული აქტივობების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა მიეცა რეგიონში მოქმედ დაჯგუფება „პაკისტანის თალიბანს“ (TTP), რომელმაც საანგარიშო პერიოდში თავდასხმების რიცხვი დაახლოებით 90%-ით გაზარდა, მათ შორის პაკისტანში და საკუთარ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. „პაკისტანის თალიბანი“ 2024 წელს ერთ-ერთ ყველაზე მაღალი საფრთხის შემცველ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. იგი გლობალური ტერორიზმის ინდექსში, საფრთხის კუთხით რიგით მესამე ტერორისტულ ორგანიზაციად დასახელდა.

„ჰეზბოლა“, „ჰამასი“

ლიბანსა და ღაზაში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების „ჰეზბოლასა“ და „ჰამასის“ აქტივობები, აღნიშნულთან დაკავშირებული სხვა ესკალაციური სიტუაციები ახლო აღმოსავლეთში (მათ შორის, ჰუთების მხრიდან თავდასხმები და ერაყის შიიტური დაჯგუფებების მოქმედებები), რეგიონულ უსაფრთხოებას განსაკუთრებულ გამოწვევებს უქმნიდა. იმავდროულად, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით განვითარებული მოვლენები, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო მასშტაბით რადიკალიზაციის რისკის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

„ჰეზბოლასა“ და „ჰამასის“ ლიდერების, მათი ასობით ტერორისტი მებრძოლის ლიკვიდაცია და დაჯგუფებების შესაძლებლობების მნიშვნელოვნად შემცირება არა მხოლოდ რეგიონული უსაფრთხოების გარემოზე ახდენდა დადებით გავლენას, არამედ ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის კონტექსტში ასევე მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენდა.

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი

საანგარიშო პერიოდში დასავლეთში არსებული ულტრამემარჯვენე განწყობები კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა. განსაკუთრებით მაღალი იყო ისლამოფობიურ და ანტისემიტურ მოტივებზე ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა. 2024 წელს ებრაელების წინააღმდეგ ინციდენტების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუსლიმთა შევიწროების/ძალადობის ფაქტების რიცხვიც.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების გავლენით, საანგარიშო პერიოდში დასავლეთში თავდასხმები განხორციელდა ეთნიკურად ებრაელ მოქალაქეებზე, სინაგოგებსა და შესაბამის სასწავლო დაწესებულებებზე.
2024 წელს, ასევე, მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი აქტების კონტექსტში, გასულ წლებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა ორივე მიმართულებით ათასობით ინციდენტი აღრიცხეს.

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორისტულ გამოწვევებთან გამკლავების მიმართულებით, პრევენციულ ღონისძიებებს ატარებდა, მუდმივად ცდილობდა კონტრტერორისტული მექანიზმების დახვეწას და საფრთხეებთან გამკლავების გზების გაუმჯობესებას, მათ შორის, ტერორიზმის შემთხვევებზე პირდაპირი რეაგირების დანაყოფების გაძლიერებას და მათი შესაძლებლობების ზრდას.

აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, მათ შორის, ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელ ანგარიშში საქართველოს მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული საქმიანობა პოზიტიურად შეფასდა და აღინიშნა, რომ უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად რჩებოდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს შესწევს ტერორისტული ინციდენტების გამოვლენის, შეკავების, მათზე რეაგირების უნარი. საქართველო ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო კონტრტერორისტულ, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ფორმატებში და ასრულებს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს. საანგარიშო პერიოდში საქართველოს არცერთი მოქალაქე არ ყოფილა იდენტიფიცირებული ტერორისტული აქტივობებისთვის სირიაში ან ერაყში გამგზავრების კუთხით.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპულმა კომისიამ საქართველოს შესახებ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე 2024 წლის 30 ოქტომბერს გამოქვეყნებულ კომუნიკეში, რომელიც განკუთვნილი იყო ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის, დადებითად შეაფასა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები.

დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ანტიტერორისტული კანონმდებლობა ფართოდ შეესაბამება ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოს და შესაბამის

საერთაშორისო სამართალს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს; საქართველოს აქვს ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაციისთვის; შექმნილია მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია ტერორიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი ყველა უწყების მაღალი დონის წარმომადგენლისგან; დამტკიცებულია 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა; საქართველო ჩართულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ძალისხმევაში, მათ შორის, საქართველო კონტრტერორისტული მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს როგორც ევროპოლთან, ასევე ინტერპოლთან და მონაწილეობს პრევენციულ კონტრტერორისტულ საქმიანობაში საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ნატოსა და გაეროს ფარგლებში.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველო არის ევროპოლის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი მეკავშირე ჯგუფის წევრი და პოზიტიურად არის შეფასებული საქართველოსა და ევროპოლს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. ასევე, მოყვანილია სამსახურის მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციები და დაკავებები.

საქართველოს მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის შესახებ აღნიშნულია „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ ყოველწლიურ ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“. დოკუმენტში, სადაც ბოლო პოზიცია უსაფრთხო გარემოს გულისხმობს, საქართველოს, ტერორიზმის გავლენის კრიტერიუმით შეფასებისას, ბოლო - მე-100 ადგილი მიენიჭა, რაც ნიშნავს, რომ ტერორიზმს ქვეყნის უსაფრთხოების გარემოზე გავლენა არ მოუხდენია (0 ქულა) და საანგარიშო პერიოდში საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. საქართველოსთან ერთად, მე-100 პოზიციით შეფასდა: ესტონეთი, ბულგარეთი, ხორვატია, უნგრეთი, სლოვენია, ჩრდილოეთი მაკედონია, მოლდოვა, რუმინეთი და სხვ.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები

2024 წელს უცვლელი რჩებოდა საქართველოს ძირითადი ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები:

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება;

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნება;

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება;
საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა;
ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება

2024 წელს, ისევე როგორც ბოლო წლების განმავლობაში, საქართველო ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სასურველ სამოქმედო ტერიტორიათა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული, მთლიანობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სხვა რელევანტურ უწყებებთან კოორდინაციით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმული კომპლექსური ნაბიჯების შედეგად იქნა მიღწეული.

თუმცა, ამის პარალელურად, საერთაშორისო პრაქტიკიდან ნათლად გამოჩნდა, რომ სახელმწიფოთა მხრიდან დაუზოგავი კონტრტერორისტული ძალისხმევისა თუ მზადყოფნის სათანადო ხარისხის მიუხედავად, ტერორისტული ორგანიზაციები თავდასხმების დაგეგმვასა და განხორციელებას რიგ შემთხვევებში ახერხებდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გატარებული ზომების შედეგად, საანგარიშო პერიოდში საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციების მნიშვნელოვან აქტივობებს ადგილი არ ჰქონია. ქვეყანაში არ დაფიქსირებულა ტერორისტული ფორმირებები თუ სტრუქტურირებული ჯგუფები; ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით სამუშაოები მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა და ამ მხრივ შესაძლებლობები მინიმუმამდე შემცირდა. საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიის შესაძლო გამზიარებელი/მხარდამჭერი პირების რაოდენობა დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა.

ტერორისტული თავდასხმის პრევენციის კონტექსტში, სამსახური შესაბამის ღონისძიებებს მიმართავდა, მათ შორის, საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის ცალკეულ მოქალაქეებზე ოპერატიული კონტროლის მიმართულებით.

2024 წლის განმავლობაში ტერორიზმის შესახებ რამდენიმე ათეული ცრუ შეტყობინება იქნა მიღებული, რომლებზეც შესაბამისი რეაგირება ხდებოდა. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს 3 მოქალაქის მიმართ.

აღსანიშნავია ფეთქებადი ნივთიერებებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე დაწყებული

გამოძიება, რომლის ფარგლებში გამოვლინდა, რომ უკრაინიდან, ევროპის არაერთი ქვეყნის გავლით, საქართველოში შემოსულ ელექტროავტომანქანაში ფარულად მოთავსებული ასაფეთქებელი ნივთიერების რუსეთის ფედერაციაში გატანა იგეგმებოდა. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულებრივი ქმედება აღიკვეთა, ხოლო ასაფეთქებელი ნივთიერებები/მოწყობილობები ამოღებულ იქნა.

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა

2024 წლის ბოლოს სირიაში ვითარების ფუნდამენტურად შეცვლის მიუხედავად, გამოწვევად რჩებოდა (ისევე როგორც ერაყის ტერიტორიაზე) ადგილზე მყოფი, დაკავებული ტერორისტი მებრძოლები, რომლებიც წარსულში ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში ირიცხებოდნენ და ბანაკებში მოთავსებული მათი ოჯახის წევრები. აღნიშნული პირების წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნება მრავალი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, პრობლემას წარმოადგენდა. ამჟამად სირიის არაბთა რესპუბლიკაში კვლავ იმყოფება წარსულში ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში მებრძოლი საქართველოს 15-მდე მოქალაქე და მათი ოჯახის წევრები.

სირიაში არსებული ბანაკებიდან, ტერორისტი მებრძოლების ოჯახის წევრების ნაწილმა სხვადასხვა გზით მესამე ქვეყანაში გადასვლა მოახერხა, თუმცა დანარჩენები კვლავ ბანაკებში რჩებიან. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პირებთან დაკავშირებით, საჭირო ოპერატიული ღონისძიებების გატარება 2024 წლის განმავლობაშიც გრძელდებოდა. საქართველოში მათი დაბრუნების მცდელობის შემთხვევაში, სამსახური სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერებისა თუ მათ რიგებში მებრძოლი ე.წ. უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში მოხვედრა, მათ შორის, სხვა ქვეყნებში გამგზავრების მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა, ქვეყნისთვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა უწყებებთან კოორდინაციით, საქართველოს საზღვრის კონტრტერორისტულ სკრინინგს 24–საათიან რეჟიმში ახორციელებდა, მუდმივად კონტროლდებოდა მიგრაციის არხები, სახელმწიფოში არალეგალურად მოსახვედრად გამოყენებადი მარშრუტები და ე.წ. დერეფნები.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე კონტრტერორისტული სკრინინგის მიმართულებით, მნიშვნელოვანი სიახლე განხორციელდა – დაინერგა და ოპერატიულ რეჟიმში ამუშავდა ბიომეტრიული და მგზავრთა მონაცემების სისტემები – API/PNR.

საერთო ჯამში, სამსახურის მიერ გატარებული შესაბამისი ზომების შედეგად, ქვეყანაში ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული პირების შემოსვლის პრევენცია წარმატებით ხერხდებოდა, ამ მხრივ საეჭვო მოქალაქეების შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად ზიარდებოდა შესაბამის პარტნიორებთან.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, საქართველო მუშაობას განაგრძობდა საერთაშორისო ვალდებულების – გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის შესრულების კუთხით. ტერორიზმთან დაკავშირებული სანქციების ეროვნულ სიაში შეყვანილ იქნა ტერორიზმის ბრალდებით მსჯავრდადებული საქართველოს ოთხი მოქალაქე (ასევე საანგარიშო პერიოდში დაინიცირდა სიაში საქართველოს კიდევ ორი მოქალაქის შეყვანის პროცესი).

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა

ტერორიზმის დაფინანსების ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ნებისმიერი ტიპის დახმარების აღკვეთის, პრევენციის და გამოვლენის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შესაბამის ძალისხმევას ახორციელებდა. მუდმივად ხდებოდა ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე ფინანსური თუ სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესწავლა. დაკვირვება მიმდინარეობდა ამ მხრივ საეჭვო ტრანზაქციებზე - სავარაუდო დანაშაულის იდენტიფიცირების შემთხვევაში მათზე ხდებოდა რეაგირება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების, ასევე სხვა რელევანტურ უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად, 2024 წლის განმავლობაში საქართველოდან ტერორიზმის დაფინანსების ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სხვაგვარი დახმარების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული მიმართულებით საგულისხმოა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინაცია საერთაშორისო პარტნიორებთან.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტექსტში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მიერ MONEYVAL-ის (ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის) რეკომენდაციების აქტიურად იმპლემენტაცია.

ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება

ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიის საქართველოში გავრცელებისა და პროპაგანდის ფაქტების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შესაბამის ზომებს იღებდა. აღნიშნულის ფარგლებში, კონტროლდებოდა ე.წ. ონლაინსივრცეში ტერორიზმთან დაკავშირებული/რადიკალური იდეებისა და სხვა სახის პროპაგანდისტული მასალის გავრცელება. გამოვლენილ შემთხვევებზე სამსახური შესაბამის რეაგირებას ახდენდა.

აღნიშნული მიმართულებით გარკვეულ რისკს წარმოადგენდა შესაძლო რადიკალიზებული უცხოელების საქართველოში ყოფნა. მათი მხრიდან ტერორისტული ორგანიზაციების იდეების გავრცელების პრევენციისთვის სამსახური კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მიმართავდა, ასევე ახორციელებდა ამ მხრივ მოწყვლადი პირების იდენტიფიცირებას.

გატარებული ზომების შედეგად, ქვეყანაში მაქსიმალურად შეიზღუდა რადიკალურ-ექსტრემისტული იდეოლოგიის შესაძლო გამავრცელებელ პირთა აქტივობები, აღნიშნულში შემჩნეულ უცხო ქვეყნების ცალკეულ მოქალაქეებს კი საქართველოს ტერიტორიის დატოვება მოუხდათ. ქვეყანაში მათი განმეორებით შემოსვლის აღსაკვეთად, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უკონტროლო ვითარება, ტერორიზმის მიმართულებით ქვეყნის უსაფრთხოების გარემოსთვის გამოწვევად რჩებოდა.

სისხლის სამართლის საქმეები

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 9 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა კი დაიწყო 5 პირის მიმართ.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია

საანგარიშო პერიოდში 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია გრძელდებოდა. პროცესის წარმატებით განხორციელებას ზედამხედველობას უწევდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია.

2024 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით, კომისიის რიგით მერვე სხდომა გაიმართა: განხილულ იქნა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის ანგარიში. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი კომისიამ პოზიტიურად შეაფასა და აღინიშნა, რომ აქტივობების უმეტესობა რელევანტური უწყებების მიერ გეგმის მიხედვით შესრულდა. კომისიამ უწყებათაშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობა განიხილა, ასევე 2025 წლის პრიორიტეტული ზომების გატარების შესახებ იმსჯელა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, სასაზღვრო-გამტარი პუნქტების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის გაგრძელების შესახებ. გამოწვევად დაიდენტიფიცირდა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება, რომლის დარეგულირების საკითხი ასევე პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა.

სპეციალური ოპერაციების ძალები

კონტრტერორისტული და სხვა განსაკუთრებული სირთულის ოპერაციებისთვის მუდმივი მზადყოფნის მიზნებიდან გამომდინარე, 2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების ამაღლებას.

აღნიშნული მიზნით, სამსახურის ტაქტიკური მომზადების ბაზაზე სისტემატურად მიმდინარეობდა სამსახურის საბრძოლო დანაყოფების წვრთნები და სხვადასხვა ტიპის გეგმური ვარჯიშები. აღნიშნული მოიცავდა როგორც სპეციალური ოპერაციების ძალების ფიზიკურ მომზადებას, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ევროპული სარდლობის (SOCEUR) მიერ დაგეგმილ, ნატოს სპეციალური ოპერაციების შტაბთან კოორდინაციით, ევროპის მოქმედებათა არეალში (მათ შორის, საქართველოში) ჩატარებულ სპეციალური ოპერაციების ძალების მრავალეროვნულ სწავლება „ტროას ნაკვალევი 24“-ში (Trojan Footprint 24 (TFP-24)).

ასევე, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ პრაღაში ორგანიზებულ „ახლო ბრძოლის და მძევლების გათავისუფლების'' სწავლებაში, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) გამართულ სამეთაურო-საშტაბო სწავლება „შამქორი 2024“-ში, სსიპ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებაში „მაღალი რისკის შეხვედრები“.

სპეციალური ოპერაციების ძალების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ

არაერთ უწყებათაშორის სწავლებაში, რომელთა ნაწილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტმა რეაგირება მოახდინა 400 შეტყობინებაზე, რის შედეგად, ცალკეულ შემთხვევებში, ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და დღემდე არსებული გამოწვევების მიუხედავად ლიდერ პოზიციას იკავებს შავი ზღვის რეგიონში და მის მიღმაც. აღნიშნულს სხვადასხვა საერთაშორისო კვლევა და რეიტინგი ადასტურებს.

მიუხედავად ამისა, კორუფცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მდგრად განვითარებას და ეროვნულ უსაფრთხოებას. კორუფციის შედეგად მიიღება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს და იწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციისა და საჯარო ნდობის დაკარგვას, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ.

კორუფცია ზიანს აყენებს ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მხრიდან ინვესტიციების განხორციელებისგან თავის შეკავება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, აფერხებს განვითარებაზე ორიენტირებული ახალი კერძო ორგანიზაციებისა და სამუშაო ადგილების შექმნას.

კორუფცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგან იგი სხვადასხვა დაინტერესებულ ძალას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, უადვილებს საკუთარი დესტრუქციული დღის წესრიგის გატარებას, უკანონო და კრიმინალური საქმიანობის განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. აქტიურად ტარდებოდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუშაობას კორუფციის პრევენციის მიმართულებით.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 23 საქმეზე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 39 პირი ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სხვა. საანგარიშო პერიოდში განრიდება გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის 3 საქმეზე 6 პირის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ სასამართლოში წარმართული საქმეებიდან არცერთ მათგანზე არ დამდგარა გამამართლებელი განაჩენი, რაც მიუთითებს სამსახურში არსებულ გამოძიების მაღალ სტანდარტზე.

2023 წლის 15 ნოემბრის ,,ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საანგარიშო წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის 11 საქმეზე, სახელმწიფოს დაუბრუნდა 2 655 716 ლარის ღირებულების დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 168 100 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 125 პირი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, საქართველო კვლავ მოწინავე ადგილს იკავებს საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის" (CPI) მიხედვით, საქართველოს ქულა უცვლელი დარჩა (53) და მსოფლიო მასშტაბით 180 ქვეყანას შორის 53-ე ადგილს იკავებს.

ანგარიშის თანახმად, საქართველო კვლავ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს და 2024 წელს პირველ ადგილზეა სამხრეთ კავკასიის, შავი ზღვის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში.

საქართველო რეიტინგში უთანაბრდება პოლონეთს და უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს წევრ 11 ქვეყანას: საბერძნეთს, სლოვაკეთს, ხორვატიას, მალტას, მონტენეგროს, რუმინეთს, ბულგარეთს, ალბანეთს, უნგრეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას და თურქეთს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებდა საკანონმდებლო აქტების პროექტების, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისა და სახელმწიფო ქონების გასხვისების კანონიერების შეფასებას, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგს.

გრძელდებოდა კორუფციისადმი მოწყვლადი ჯგუფებისა და სფეროების იდენტიფიცირება, საჯარო სექტორში კორუფციული რისკების შემცირება-აღმოფხვრისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2024 წელს კორუფციული და სამოხელეო დანაშაულების გამოვლენა-აღკვეთის პარალელურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კორუფციის პრევენციის ხელშემწყობი ზომების გაძლიერებას.

ამ მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ სხვადასხვა რაიონის თვითმმართველობებში და უნივერსიტეტებში ჩატარდა შეხვედრები კორუფციულ დანაშაულზე საჯარო მოხელეების და სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ახალ ინიციატივას, რაც გულისხმობს ანალოგიური საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას სტუდენტებისთვის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პრევენციის მიმართულებით გატარებული ზომების ეფექტურობაზე მეტყველებს კორუფციული დანაშაულების გამოვლენაში მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა.

2024 წელს, გასულ წლებთან შედარებით, გაიზარდა ანტიკორუფციულ სააგენტოში შესული მამხილებელთა შეტყობინებების რაოდენობა. 53 შეტყობინებიდან გამოძიება დაიწყო 11 საქმეზე, 2 - დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, 31 - ქვემდებარეობით გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში, 7 - არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, ხოლო 2 საქმეზე კვლავ მიმდინარეობს შესწავლის პროცესი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების მუდმივი განვითარება, როგორც საგამოძიებო, ასევე ოპერატიული, ანალიტიკური და პრევენციული მიმართულებებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა სპეციალური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი. გარდა ამისა, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში.

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სამართლებრივი ბაზის დახვეწას, ასევე, გრძელდებოდა შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავების პროცესი.

2024 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 150-ზე მეტი ახალი სამართლებრივი აქტი და კომპეტენციის ფარგლებში საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შემუშავებულ 210 სამართლებრივი აქტის პროექტზე.

სამსახურმა უშუალო ავტორობით მოამზადა 45 ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთან, საიდუმლო ნორმატიული აქტების შემუშავების მიმართულებით სამსახურმა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ნდობის ჯგუფს პროაქტიულ რეჟიმში გასაცნობად გაუგზავნა სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული 7 საიდუმლო ნორმატიული აქტი.

საანგარიშო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა შიდასამსახურებრივი რეგულაციების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი.

კანონმდებლობით დანერგილ სიახლეებთან სამსახურის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობაში მოყვანისა და ჰარმონიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ შემუშავდა მთელი რიგი სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა როგორც მთავრობის, ისე სამსახურის ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანას. მაგალითად, სამსახურში დაინერგა ახალი „თავდაცვის კოდექსიდან" გამომდინარე მოთხოვნები, რომლითაც განისაზღვრა სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

2024 წელს, სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით, გადაისინჯა და განახლდა სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალურ სამხედრო აღრიცხვაზე აყვანასთან, კანდიდატთა სამედიცინო შემოწმებასთან, მოსამსახურეთა მომზადების ზოგიერთი სასწავლო კურსის გავლასთან, სანდოობისა და საიმედოობის დადგენის მიზნით სამოქალაქო ავიაციაში ანკეტური მონაცემების შემოწმებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები. ასევე დამტკიცდა სამსახურის სამობილიზაციო მზადყოფნის გეგმები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც მოწესრიგდა საქართველოს სახელმწიფო

უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები. კერძოდ, განისაზღვრა ტერორიზმში ან საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენაში ბრალდებულის/მსჯავრდადებულის კომუნიკაციის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა სამართლებრივი რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებსა და პროცედურებთან დასაახლოებლად.

„საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ შეთანხმების იმპლემენტაციისთვის ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში, რომლის მიხედვით განისაზღვრა სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვების–ნებართვის კატეგორიები, სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მოქმედების ვადები და საიდუმლო ინფორმაციასთან მოპყრობის სხვა აუცილებელი მოთხოვნები და სტანდარტები.

2024 წელს სამსახური აქტიურად მონაწილეობდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობაში, რომელიც, მათ შორის, უკავშირდებოდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში სხვადასხვა სამართლებრივი აქტისა და დოკუმენტების პროექტების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით.

შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ მიეწოდა საქმეების განხილვისთვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები (საერთო ჯამში, 1100-ზე მეტი ინფორმაცია/მტკიცებულება). ამასთან, დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 775 დოკუმენტი. 2024 წელს სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 39 სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო დავა, რომელთაგან 12 - დასრულდა სხვადასხვა ინსტანციაში, ხოლო 1 სამოქალაქო ხასიათის დავა გადაწყდა მხარესთან შეთანხმების საფუძველზე, სარჩელის სასამართლოში აღძვრის გარეშე. საქმეთა უმრავლესობაში სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სამსახურის პოზიცია, რაც აისახა შესაბამის გადაწყვეტილებებში.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ასევე, აქტიურად იყო ჩართული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის“ უწყებათაშორისი კომისიის (IATF) საქმიანობაში. კომისიის საქმიანობის განმავლობაში განხილულ იქნა რიგი განცხადება-საჩივრები, თუმცა სამსახურთან მიმართებაში რაიმე არსებითი ხასიათის საჩივარი ან პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ანგარიშვალდებულება

სამსახური, როგორც საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყება, საანგარიშო პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა საკანონმდებლო ორგანოსთან. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო როგორც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, ასევე ნდობის ჯგუფის ფარგლებში გამართულ სხდომებში.

2024 წელს სამსახურის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო ნდობის ჯგუფის 2 და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ფარგლებში გამართულ 2 შეხვედრაში.

2024 წლის 28 მარტს სამსახურის უფროსმა ნდობის ჯგუფს წარუდგინა ინფორმაცია სამსახურის მიერ განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.

გარდა ამისა, 2024 წლის 12 ივნისს სამსახურის უფროსმა პარლამენტის წევრებს პლენარულ სხდომაზე წარუდგინა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში“. პარლამენტის წევრებმა მიიღეს სრული ინფორმაცია სამსახურის საქმიანობაზე და სამსახურის კომპეტენციის შესაბამისად, მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე როგორც ღია, ისე დახურულ ფორმატში.

2024 წლის 12 ივნისს სამსახურის ანგარიში, ასევე, წარდგენილ იქნა სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის მიერ სამი კომიტეტის (თავდაცვისა და უშიშროების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიული კომიტეტების) გაერთიანებულ სხდომაზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო რეაგირება განახორციელა პარლამენტიდან გამოგზავნილ 5 შეკითხვაზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან. 2024 წელს შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოგზავნილ 23 კორესპონდენციაზე და მას კანონმდებლობის დაცვით მიეწოდა მოთხოვნილი, მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განაგრძობდა სამსახურზე კონტროლის ღონისძიებებს.

2024 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაიწყო სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები პირების (კანდიდატების) მონაცემების დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება (ინსპექტირება), რომლის ფარგლებშიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ სამართლებრივ დოკუმენტაციას (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველს) და მიიღეს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების თაობაზე.

2024 წლის სექტემბერში, საქართველოში უსაფრთხოების სექტორზე გარე ზედამხედველობის მხარდაჭერის შესახებ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში ეფექტიანობის, შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტის შესახებ სემინარში.

სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პროკურატურასთან, როგორც საგამოძიებო ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, საანგარიშო პერიოდში სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის ნდობის ჯგუფს წარუდგინა სააგენტოს საქმიანობის 2024 წლის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში.

ამასთან, საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად, შეუფერხებლად გასცემდა, როგორც ცალკეული მოქალაქეების, ისე არასამთავრობო სექტორისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 10 დეკემბერს წარდგენილ იქნა სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიშები. აღნიშნული ანგარიში, ასევე, გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყენებდა შიდა კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს. მათ შორის, სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მიმართულებით, 2024 წელს სამსახურის შესაბამისი დანაყოფი უწყვეტ რეჟიმში ახდენდა შიდა მონიტორინგს, რის შედეგად რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილა.

შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექცია ახორციელებდა ოპერატიულ-სამძებრო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ

საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებს, ხოლო დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, პრევენციულ ღონისძიებებს.

მიმდინარეობდა სამსახურის სისტემაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა, სამსახურის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დანაყოფების მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერების შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ, სამსახურის სისტემაში ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების შესაძლო დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების, შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირების მიზნით, განახორციელა 44 სამსახურებრივი შემოწმება. მომზადებული დასკვნების საფუძველზე, 13 თანამშრომლის მიმართ მიღებულ იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. კერძოდ, სასტიკი საყვედური გამოეცხადა - 5, საყვედური - 1 და შენიშვნა მიეცა 6 თანამშრომელს, ხოლო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 1 თანამშრომელი. ამასთან, სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მიეცა 3 მოსამსახურეს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო განაგრძობდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. აღნიშნულ პროცესში სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს.

2024 წელს უფლებამოსილმა საგამოძიებო ორგანოებმა სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში წარადგინეს მოსამართლის/ზედამხედველი მოსამართლის 1676 განჩინება/ბრძანება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე და პროკურორის 66 მოტივირებული დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობა კონტროლდებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით. ამასთან, სააგენტოს საქმიანობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექვემდებარებოდა პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სამსახურში შევიდა 71 განცხადება (მათ შორის მოქალაქეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან), რომელთაგან დაკმაყოფილდა 50, კომპეტენციის გათვალისწინებით შესაბამის უწყებებში შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა 6, ხოლო შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 6 და არ დაკმაყოფილდა 9 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მიწოდებისა თუ გამოთხოვის მიზნით, აქტიურად იყო გამოყენებული სამსახურში მოქმედი ცხელი ხაზი - „123". სულ შემოვიდა 2800-ზე მეტი განაცხადი, რაზეც სამსახურის მხრიდან განხორციელდა სათანადო რეაგირება.

სისტემატურ რეჟიმში მუშავდებოდა სამსახურის ელექტრონული გრაფის საშუალებით (info.ssg.gov.ge) მოწოდებული ინფორმაცია. საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 350-ზე მეტ ელექტრონულ განცხადებაზე. სამსახურის მხრიდან რეაგირება განხორციელდა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან მიღებულ 4860 კორესპონდენციაზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ssg.gov.ge) აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. 2024 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 70-მდე სხვადასხვა ინფორმაცია. ასევე, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მედიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებთან და სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ობიექტურ და დადასტურებულ ინფორმაციას აწვდიდა მათ.

საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

საერთაშორისო თანამშრომლობა

2024 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებდა ეფექტიან და მჭიდრო თანამშრომლობას მეგობარ სახელმწიფოებსა და სტრატეგიულ პარტნიორებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ კუთხით სამსახურის მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

სტრატეგიულ მოკავშირეებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის ხელმძღვანელი პირები სისტემატურ რეჟიმში ახდენდნენ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების, მოსალოდნელი რისკების, რეგიონში განვითარებული სხვადასხვა მოვლენისა და მათთან დაკავშირებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიმდინარეობდა საერთაშორისო პარტნიორებთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა და კონკრეტულ მიმართულებებზე მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის, ტერორიზმსა და კორუფციასთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოებისა და ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით.

2024 წელს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის არაერთი მაღალი დონის შეხვედრა დიპლომატიური მისიების, პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი უწყებების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრები შედგა, ასევე, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მაღალი დონის წარმომადგენლებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია ექსპერტული შეხვედრებისა და ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში არსებული და მიმდინარე თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოების სფეროში ახალი პროექტებისა და ინიციატივების შემუშავებას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, უსაფრთხო, მათ შორის ინტერპოლისა და ევროპოლის არხების, საქართველოში აკრედიტებული მეკავშირე ოფიცრების, უსაფრთხოების, პოლიციისა და თავდაცვის ატაშეების ქსელის მეშვეობით უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ახორციელებდა საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე ანალიტიკური და ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებების, ასევე სამართალდაცვით სფეროში არსებული ხელშეკრულებების დებულებათა და „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სამსახური დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარებას პარტნიორ სახელმწიფოებთან. 2024 წელს სამსახურმა განახორციელა შესაბამისი პროცედურები საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შვიდ და უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ სამ შეთანხმების პროექტზე.

საანგარიშო პერიოდში ძალაში შევიდა „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებები.

გარდა ამისა, 2024 წელს სამსახურმა, სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით, შესაბამისი რეაგირება განახორციელა საერთაშორისო შეთანხმების 60-მდე პროექტზე, მათ შორის, თავდაცვის, ტრანსპორტისა და საჰაერო მიმოსვლის, საბაჟო, უვიზო მიმოსვლისა და სხვა სფეროებში.

უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებისა და სამართალდაცვითი მიმართულებით ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის პრიორიტეტულია პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) კოორდინაციით საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) თანამშრომლებისთვის გამართულ სამაგიდო სწავლებასა და საერთაშორისო სანქციების თავიდან აცილების გამოვლენის და უკანონო ექსპორტის რისკების იდენტიფიკაციის თემებზე ჩატარებულ სწავლებაში; აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით და ქიმიური საფრთხეების შემცირების პროგრამის (CSE) პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ სამაგიდო სწავლებაში; ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლებათა ევროპულ ცენტრში ჩატარებულ რეგიონული უსაფრთხოების კურსში (RSS), უსაფრთხოების სწავლების პროგრამასა (PASS) და ტერორიზმისა და უსაფრთხოების სწავლების რეზიდენტულ პროგრამაში (PTSS).

ბირთვული იარაღისა და რადიოაქტიური მასალების გაუვრცელებლობის სფეროში, ქვეყნის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტთან. აღნიშნული კოოპერაცია მოიცავს როგორც ექსპერტულ ან/და ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე სასაზღვრო უსაფრთხოებაში ჩართული პერსონალის მომზადება-გადამზადების კურსებს. საანგარიშო პერიოდში აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის (US DoE) და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის (NNSA) ხელშეწყობით, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს სერტიფიცირებული სწავლება თემაზე - „რადიოაქტიური ნივთიერებების მობილური დეტექტირების სისტემის ტექნიკური მომსახურება“.

საქართველო არის დაეშის წინააღმდეგ გლობალური კოალიციის აქტიური წევრი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში გლობალური კოალიციის აქტივობებში მონაწილეობით. 2024 წელს, სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და საქართველოს წარმატებული კონტრტერორისტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარადგინეს ქ. ლონდონსა (თებერვალში) და ქ. ვაშინგტონში (სექტემბერში) გამართულ დაეშის საკითხებზე

კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფის (CWG) მაღალი დონის შეხვედრებში. სამსახურის წარმომადგენლებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს ქ. ჰააგაში გამართულ დაეშის უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრასა და ისლამური სახელმწიფოს დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გრძელდებოდა გაეროსთან თანამშრომლობა სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ჩართულობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა საჰაერო გადამზიდველების მიერ მგზავრის წინაწარი მონაცემების და მგზავრის სახელის ჩანაწერის მიწოდების ახალი სისტემის - „goTravel AIR“ - ის დანერგვა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ მგზავრთა მონაცემების მართვის ოპერაციულ შესაძლებლობებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის პრიორიტეტულია ნატოსთან თანამშრომლობა. საანგარიშო პერიოდში სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის (IPCP) და სხვა ინსტრუმენტების ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში.

კერძოდ, 2024 წელს სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ანკარაში გამართულ სამ საგანმანათლებლო ღონისძიებაში (კურსები თემებზე: „ტერორიზმისგან დაცვა“ და „ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა“, ტერორიზმის ექსპერტთა კონფერენცია და ტერორიზმისგან თავდაცვის აღმასრულებელი დონის სემინარი); ობერამერგაუს ნატოს სკოლაში ჩატარებულ ტერორიზმის წინააღმდეგ ნატოს თავდაცვის კურსსა და მობილური აპლიკაციების კურსში; ქ. კილკისში (საბერძნეთი) ორგანიზებულ საზოგადოებასთან ურთიერთობების საბაზისო ოფიცრის კურსში; ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში გამართულ საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილ პროექტების მართვის ზოგად კურსსა და ონლაინ სასერტიფიკატო პროგრამაში; სპეციალური ოპერაციების მრავალეროვნულ სწავლებაში „ტროას ნაკვალევი 2024“-ში.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში წარადგინა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში განხორციელებულ აქტივობებზე, ხოლო ნატოს 2023-2024 წლების ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამის/დაგეგმვისა და მიმოხილვის კითხვარის (ITPP/PARP Survey) ფარგლებში - ქბრბ თავდაცვისა და ტერორიზმთან ბრძოლის შესაძლებლობებზე.

მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და მის სააგენტოებთან სამართალდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობა, მათ შორის ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.

ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, აღსანიშნავია 2024 წლის ივლისში, ქ. თბილისში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა საქართველოში“ (SAFE) ფარგლებში ორგანიზებული უწყებათაშორისი სამაგიდე და საველე პრაქტიკული სწავლების ჩატარება, რომელშიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა კომპეტენტური უწყებების 150-მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. სწავლების მიზანს ქბრბ საფრთხეების გავრცელების წინააღმდეგ უწყებათაშორისი კოორდინირებული მუშაობა წარმოადგენდა.

სამსახური წარმატებით განაგრძობდა ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივასთან თანამშრომლობას. როგორც აღნიშნული ინიციატივის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სამდივნოს (აერთიანებს 10 ქვეყანას) მასპინძელი მხარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტების განხორციელებასა და ახალი აქტივობების დაგეგმვაში.

ამასთან, მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული ზემოაღნიშნული ინიციატივის ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცულობის ზომების გაძლიერების პროექტის ფარგლებში. ამ კუთხით აღსანიშნავია მდგრადობისა და ცოდნის გადაცემის კომპონენტის გაძლიერება, რაც ქვეყნის სახელმწიფო საზღვარზე ბიოლოგიური ინციდენტების მინიმუმამდე დაყვანას და ქვეყნის ბიოუსაფრთხოების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

2024 წლის აპრილში საქართველომ მონაწილეობა მიიღო ქ. ბელგრადში გამართულ ინიციატივის ეროვნული საკონტაქტო პუნქტების რიგით 21-ე შეხვედრაში. გარდა ამისა, 2024 წელს სამსახურის წარმომადგენლები პროექტის „კონტაქტი - შავი ზღვა“ ფარგლებში მონაწილეობდნენ ქ. ტურინსა და ქ. ვილნიუსში გამართულ ღონისძიებებში, რომლებიც რადიაციული და ბირთვული მასალის კონტრაბანდის პოტენციური შემთხვევების საკითხებზე რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას ეხებოდა.

აღსანიშნავია სამსახურის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) ორგანიზებით 2024 წელს ქ. სტამბულში გამართულ ევროკავშირის პროექტის „კონტრტერორისტული ინფორმაციის გაცვლა და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პასუხი“ (CT INFLOW) სტრატეგიული თანამშრომლობის რიგით მესამე ფორუმში და ქ. რომში ჩატარებულ ორ კურსში (კურსები თემებზე: „ადმინისტრაციული მიდგომა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ“ და „კორუფციის გამოძიება და პრევენცია“).

სამსახური ასევე აქტიურადაა ჩართული ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ერთობლივ პროექტებში. კერძოდ, პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (PGG III) პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი პარალელური ფინანსური გამოძიების საკითხებზე. გარდა ამისა, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერგამძლეობის საკითხებზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირი-ევროპის საბჭოს რეგიონული პროექტის „CyberEast+"-ის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას ევროპოლთან კონტრტერორისტულ საკითხებზე. კერძოდ, 2024 წელს სამსახურის წარმომადგენლები გადამზადდნენ ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციების არხის კონტრტერორისტულ პლატფორმასთან (CT SIENA) მუშაობის მიმართულებით, ასევე, მონაწილეობდნენ ევროპოლის კონტრტერორისტული ცენტრის ანალიზის პროექტების „ჰიდრა" (გაიმართა ქ. ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში) და „ინტერნეტის შემოწმება" (გაიმართა ონლაინ) სამუშაო შეხვედრებში.

2024 წელს სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტრასბურგში გამართულ ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) მე-12 და მე-13 პლენარულ სესიებში. კომიტეტის მე-12 სესიაზე სამსახურის წარმომადგენელმა წარადგინა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საქართველოს ძალისხმევის შესახებ განახლებული ინფორმაცია, რომელიც პოზიტიურად შეფასდა CDCT-ის წევრების მიერ. გარდა ამისა, ქართული მხარის მონაწილეობით სესიებზე განიხილებოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, მათ შორის, „ტერორიზმის პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციაში ცვლილების შეტანის ოქმი, რომელიც ტერორიზმის პან-ევროპულ განსაზღვრებას ეხებოდა. ამასთან, სამსახურის წარმომადგენლები ექსპერტულ დონეზე აქტიურად იყვნენ ჩართული ამავე კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმის სისხლის სამართლებრივი დევნის სტრატეგიების სახელმძღვანელოს შემუშავების საკითხებს. ამასთან, 2024 წელს, სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ჰააგაში გამართულ ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის 24/7 საკონტაქტო ქსელის მეექვსე შეხვედრაში.

ეუთოსთან თანამშრომლობის მიმართულებით, აღსანიშნავია 2024 წლის ნოემბერში სამსახურის წარმომადგენლის ჩართულობა ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის მიერ ქ. ვენაში ჩატარებულ მგზავრთა მონაცემების აღმოსავლეთ ევროპულ რიგით მეოთხე არაფორმალურ სამუშაო შეხვედრაში.

აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობის პარალელურად, საანგარიშო პერიოდში სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში ამზადებდა ინფორმაციას/ანგარიშებს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული გაეროსა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოსა და

გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით, ეუთოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების/რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და აწვდიდა მას შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ სააგენტოებს.

საქართველო აქტიურადაა ჩართული ინტერპოლის კონტრტერორისტულ აქტივობებში, მისი უსაფრთხო არხის გამოყენებით ინფორმაციის გაცვლის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ასევე შესაბამის პროექტებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის გზით. 2024 წელს, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ინტერპოლის რომის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ ქ. კასერტაში ორგანიზებულ ორ სასწავლო კურსში, რომლებიც ეხებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და დივერსიული საქმიანობის საკითხებს, ასევე გეიგერის რეგიონული სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელიც გაიმართა ქ. ლიონში (ინტერპოლის გენერალური სამდივნოს შტაბ-ბინაში).

საქართველო, ასევე, ჩართულია სუამის (საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის) ფარგლებში კონტრტერორისტულ და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე შექმნილ შესაბამის სამუშაო ქვეჯგუფებში. 2024 წლის აპრილში ვიდეოკონფერენციის მეშვეობით გაიმართა კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის 24-ე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენელი.

2024 წლის მაისში, ქ. ანკარაში გაიმართა საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომისიის მე-9 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსის მოადგილემ. აღნიშნული კომისია დაფუძნებულია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 1994 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია

2024 წლის დეკემბერში სამსახურის ორგანიზებით „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ მერვე სხდომა გაიმართა. სხდომას უძღვებოდა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე. საბჭოს წევრებმა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2024 წელს შესრულებულ აქტივობებსა და მიღწეულ შედეგებზე ანგარიშები წარადგინეს. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის მოადგილეები, ასევე ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი.

ღონისძიება ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული რისკების შემცირების ინიციატივის მხარდაჭერით გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა უწყების 60-მდე წარმომადგენელმა. საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქიმიური ნარჩენების სამარხის პროექტის მიმდინარეობის განხილვას. ამასთან, საბჭოს წევრმა უწყებებმა იმსჯელეს ქვეყანაში ქბრბ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების პოტენციური ნუსხის შექმნასა და აღნიშნულ ობიექტებზე უსაფრთხოებისა და დაცულობის ზომების გაძლიერებაზე.

2024 წლის დეკემბერში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა რადიაციულ და ბირთვულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პირველი ეროვნული სამაგიდო სავარჯიშო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საფრთხეებთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებმა. სავარჯიშოს მიმდინარეობისას გამოიკვეთა ინციდენტზე რეაგირების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.

2024 წლის 17 აპრილს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, საქართველოს პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2023 წლის 26 იანვარს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დაფუძნებული ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს რიგით მეორე სხდომა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა უწყებათაშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, კერძოდ, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიაში; მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის კომისიაში; ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში; ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილ უწყებათაშორის სამთავრობო კომისიაში; საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიებში; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022–2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის, საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის 2021–2024 წლების სამოქმედო გეგმისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2023-2027 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და სხვა უწყებათაშორის მექანიზმებში.

სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, შესაბამისი მომართვის საფუძველზე, სასაზღვრო უსაფრთხოებაში ჩართული უწყებების პირადი შემადგენლობის მომზადება-გადამზადების მიზნით, რეგულარულად ახორციელებს სტაციონარული ან/და მობილური ელექტრონული დაკვირვებისა და რადიოაქტიური მასალების დეტექციის სისტემების ოპერირების სასწავლო კურსებს, რომლებსაც ახორციელებს ტრენერის საერთაშორისო სერტიფიკაციის მქონე სააგენტოს პერსონალი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2024 წელს გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 83 მესაზღვრე და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 4 თანამშრომელი.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი მესაზღვრე კონტროლიორებისთვის ჩატარდა საბაზისო სწავლება თემაზე „სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული და რადიაციული კონტროლი“. გადამზადდა 110 კურსანტი.

2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ფართომასშტაბიანი უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლების „დიდგორი 2025“ ორგანიზების მიზნით გამართულ სწავლების დაგეგმვის უწყებათაშორისი ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში.

სამსახური წარმატებით აგრძელებდა „სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“ 2015 წლის 21 სექტემბერს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში არსებულ თანამშრომლობას მემორანდუმის ხელმომწერ სხვა უწყებებთან, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩართული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების ეროვნული ანგარიშის (NRA) განახლების მომზადებაში, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის №813 განკარგულებით.

მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისა და მდგრადობისთვის აუცილებელ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა სათანადო ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა. აღნიშნული მიმართულებით 2024 წელს სამსახური განაგრძობდა შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრიორიტეტს წარმოადგენდა მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალიზმით გამორჩეული კადრების მაქსიმალურად შენარჩუნება, მათი მოტივირება და შემდგომ კარიერულ წინსვლაში ხელის შეწყობა.

ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სხვადასხვა ფორმით წახალისდა 350-მდე მოსამსახურე.

საანგარიშო პერიოდში მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იყვნენ შრომის თანაბარი პირობებით, მაღალი სამუშაო სტანდარტებით და სარგებლობდნენ სათანადო სოციალური პაკეტით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათი გადამზადება და იმ მიმართულებით განვითარება, რაც შესაძლებელს ხდის პროფესიონალი კადრების უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 300-მდე მოსამსახურემ გაიარა სამსახურის სასწავლო ცენტრსა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტში დანერგილი გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პირადი შემადგენლობის მომზადება-გადამზადებას სპეციალურ დისციპლინებში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისა და ტაქტიკური მომზადების თვალსაზრისით.

სამსახური უზრუნველყოფდა თანამშრომელთა უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა ზოგადი და პროფესიული ინგლისური ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსები, რომლებშიც ინტეგრირებული იყო ნატოს STANAG 6001 სტანდარტების შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები.

ამასთან, საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მომავალ კადრებზე ზრუნვა, მოტივირებული, მაღალი ღირებულებებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის მოზიდვა, მათი განვითარება და უსაფრთხოების წარმატებულ მოსამსახურეებად ჩამოყალიბება.

სამსახურის ქვედანაყოფების საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, წარმატებით ხორციელდებოდა საქართველოს უმაღლესი დაწესებულებებიდან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების მოზიდვა.

ამ მიზნით სსიპ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა „უსაფრთხოების სკოლისა" და „უსაფრთხოების ახალგაზრდული სკოლის" პროექტები. აღნიშნული პროგრამებიდან, მაღალი აკადემიური მოსწრების 5 კურსდამთავრებული გადანაწილდა სამსახურის ქვედანაყოფებში შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოსამსახურეთა შერჩევის, შეფასებისა და მომზადება-გადამზადების მიზნით წარმატებით არის დანერგილი სპეციალური პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემა, რომელიც არსებით თანხვედრაშია ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან. ასევე, დანერგილი და აპრობირებულია შეფასებისა და ტესტირების თანამედროვე მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სამსახურში მისაღებ კანდიდატთა კომპეტენციების შესაბამისობის განსაზღვრას კონკრეტული პოზიციით (საშტატო ერთეულით) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით.

ხაზგასასმელია, ასევე, სამსახურის თანამშრომლობა სხვა უწყებების სასწავლო/ტრენინგ ცენტრებთან, სადაც საანგარიშო პერიოდში იგზავნებოდნენ სამსახურის თანამშრომლები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ორგანიზებულ სასწავლო კურსებში მონაწილეობის მისაღებად. ამავე დროს, 2024 წელს მაღალი იყო სამსახურის მოსამსახურეთა ჩართულობა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გამართულ სასწავლო კურსებსა და გადამზადების პროგრამებში.

სასწავლო ცენტრი

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სამსახურის დანაყოფებისთვის სათანადო კადრების მომზადება-გადამზადებაში და უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას. გარდა ამისა, განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში, თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაევლოთ სხვადასხვა სპეციალიზებული სასწავლო კურსი.

სასწავლო ცენტრში განხორციელდა ათეულობით სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომელთა ფარგლებშიც შესაბამისი მომზადება გაიარა უწყების ასობით მოსამსახურემ და სამსახურში მისაღებმა კანდიდატმა.

2024 წელს განხორციელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ახალი პროექტი, „უსაფრთხოების სასერტიფიკატო კურსი", რომელიც

ჩატარდა 2 ნაკადად და მასში მონაწილეობა მიიღო, ჯამში 67 მსმენელმა. პროგრამის მიზანია საქართველოს მოქალაქეებში პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავება და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება. კურსის მონაწილეებს უშუალო კომუნიკაცია ჰქონდათ უსაფრთხოების სფეროს მაღალი თანამდებობის პირებსა და წამყვან ექსპერტებთან.

ასევე, სსიპ - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და საქართველოს იუსტიციისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროების მხარდაჭერით 2024 წელს სტუდენტებისთვის ჩატარდა მორიგი „უსაფრთხოების ზამთრის სკოლა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან შერჩეულმა 29 სტუდენტმა.

2024 წელს კვლავ წარმატებით ხორციელდებოდა სსიპ - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრსა და „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს" (BTU) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები", რომელზეც საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა მეორე ნაკადი.

პროგრამას გააჩნია შესაბამისი აკრედიტაცია. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, დაზვერვის და კიბერუსაფრთხოების საკითხების სისტემური ცოდნა.

სასწავლო კომპონენტთან ერთად, სამაგისტრო პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს, რომელიც შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და სრულად პასუხობს უსაფრთხოების სექტორის თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის (Master of Security Studies) ხარისხი. პროგრამა თავისი შინაარსით უნიკალურია და უმნიშვნელოვანესი წამოწყებაა მომავალი თაობების განათლებისა და უსაფრთხოების სფეროში ახალი კადრების მოსამზადებლად.

მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები

სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური მდგრადობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები განაგრძობდნენ სხვადასხვა დანაყოფის სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას.

2024 წლის საბიუჯეტო სახსრებით უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 340 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 21 623 473,04 ლარი.

2024 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადდა 152 ტენდერი, ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 132 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ეკონომიამ შეადგინა 299 691,00 ლარი.